პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 მარტი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 57 (15574)

8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა

# მოგილოცავთ, ქვირფასო ქალებო!

ქალს სსრ კავშირში ენიჭება მამაკაცის თანასწორი უფლებანი სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

(სსრ კავშირის კონსტიტუცია).

# საბჭოთა ქალებს

**ქვირფასო** საბჭოთა ქალებო!

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელოვანო შვილებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს — მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალების ერთობისა და სოლიდარობის დღესასწაულს.

ჩვენს ქვეყანაში გაზაფხულის ეს დღესასწაული ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცა. დღეს იგი გაცისკროვნებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს შუქით.

საბჭოთა ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში. თავიანთ მამებთან, ქმრებთან, ძმებთან ერთად აშენებდნენ ისინი დიდ საბჭოთა კავშირს, გმირულად იცავდნენ მას მტრებისაგან, უზრუნველყვეს ჩვენი სამშობლოს აყვავება, მისი ყოველმხრივი პროგრესი. სოციალისტური სამშობლოს სახელოვან მატიანეში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი მათი სახელები. დღესაც საბჭოთა ქალები ვაჟკაცების მხარდამხარ აგებენ კომუნიზმის დიდებულ შენობას, ქმნიან ქვეყნად ყველაზე სამართლიან, ყველაზე ჰუმანურ საზოგადოებას.

სოციალიზმის პირობებში, საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში ძირეულად შეიცვალა ყველა ეროვნების ქალთა მდგომარეობა. ნამდვილად თავისუფალნი და სრულუფლებიანნი, ისინი ფართოდ ავლენენ თავიანთ შესანიშნავ ტალანტსა და ნიჭს. არ არის ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთი დარგი, სადაც ქალები უდიდეს როლს არ ასრულებდნენ. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში, სკოლებსა და საავადმყოფოებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და მომსახურების სფეროში — ყველგან არის საჭირო ქალის მზრუნველი ხელი, გამჭრიახი გონება, დიასახლისის თვალი, სულიერი სითბო. სამშობლო დიდად აფასებს და ღირსეულად აღნიშნავს თავისი შვილების დამსახურებას კომუნისტურ მშენებლობაში.

ახლა საბჭოთა ხალხი შთაგონებით შრომობს იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ“. მთელ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. მილიონთა დევიზად გადაიქცა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის საბრძოლო ლოზუნგი „გამოვუშვათ მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით“. ეჭვი არ არის, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველნაირად ამაღლებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ქალები გვიჩვენებენ მაღალნაყოფიერი, შემოქმედებითი შრომის, უმკაცრესი მომჭირნეობისა და ყაირათიანობის ნიმუშებს.

უდიდესი პატივისცემის გრძნობით მივმართავთ დღეს დედებს, ნორჩი თაობის პირველ აღმზრდელებს, ისინი უნერგავენ ბავშვებს მაღალ საზოგადოებრივ იდეალებსა და ზნეობრივ თვისებებს, ზრდიან სოციალისტური სამშობლოს შეგნებულ, შრომისმოყვარე ღირსეულ მოქალაქეებს.

პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ საბჭოთა ქალები უფრო სრულად იკმაყოფილებდნენ მზარდ კულტურულ და სულიერ მოთხოვნილებებს, ჰქონდეთ სულ უფრო ხელშემწყობი პირობები დედის ვალის მოსახდელად. ყოველწლიურად დგება მწყობრში მილიონობით ახალი ბინა, ფართოვდება საბავშვო დაწესებულებათა ქსელი, ვითარდება საოჯახო საქმის შემამსუბუქებელი საყოფაცხოვრებო სამსახურები. განუხრელად სრულდება პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ქალები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. ინდოჩინეთის ხალხთა გმირულ ბრძოლასთან სოლიდარობით, ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის ყველა კერის ლიკვიდაციისათვის მასობრივ მოძრაობაში მონაწილეობით ისინი აქტიურად უწყობენ ხელს ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებას. ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა ქალები აფართოებენ ურთიერთობას სოციალისტური ქვეყნების მეგობარ ქალებთან, მთელი პლანეტის მშრომელ ქალებთან თავისუფლებისა და ნამდვილი დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის დიადი იდეალების დასამკვიდრებლად.

სსრ კავშირში კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ქალების უდიდესი დამსახურების და ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში საბჭოთა ქალების კომიტეტის ნაყოფიერი საქმიანობის, საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან საბჭოთა ხალხის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში დიდი წვლილის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა ქალების კომიტეტი დააჯილდოვა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ თქვენ, საბჭოთა ქალებს, სამშობლოს ამ მაღალ ჯილდოს.

ძვირფასო ქალებო! დაუცხრომელო მშრომელებო, ჩვენი სამშობლოს ერთგულო შვილებო! ამ საზეიმო დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტი გისურვებთ ჯანმრთელობას, დაუშრეტელ ენერგიასა და მხნეობას, ახალ წარმატებებს შრომასა და შვილების აღზრდაში, ოჯახურ სიხარულს, უდიდეს ბედნიერებას!

დიდება საბჭოთა ქალებს — მგზნებარე პატრიოტებს, კომუნიზმის მშენებლებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იაპონიის ელჩი

**6 მარტს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** მიიღო იაპონიის ელჩი სსრ კავშირში **კ. ნიიძეკი** და მეგობრულად ესაუბრა მას. ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა იაპონიის პრემიერ-მინისტრის, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტის კაკუეი ტანაკას პირადი წერილი.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე **ი. ფ. შვედკო**.

## ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის რესპუბლიკის ელჩი

**7 მარტს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** მიიღო კუბის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი სსრ კავშირში **რ. გარსია პელაესი** მის სამშობლოში გამგზავრებასთან დაკავშირებით და ჰქონდა ელჩთან საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა უსურვა ამხ. რ. გარსია პელაესს დიდი წარმატებანი მის მომავალ საქმიანობაში კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრის თანამდებობაზე.

## მეგობრული ვიზიტით

**6 მარტს** მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი.

## მათ მიიღეს ახალი პარტიული ბილეთები



**თბილისის** ორჯონიკიძის სახელობის პირველი სამკერვალო ფაბრიკა კომუნისტური შრომის საწარმოა. ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში აქ კომუნისტები არიან. სწორედ მათ, ფაბრიკის კომუნისტებმა ქალაქში ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს ახალი ნიმუშის პარტიული ბილეთები.

**სურათზე:** მოწინავე მუშები — პარტიის წევრები, რომლებსაც ამ დღეებში გადაეცათ ახალი პარტბილეთები (მარცხნიდან) — მკერავები ვენერა დავითაშვილი, თამარ კაიშაური, ევგენია პეპანაშვილი, წუნმდებელი გალინა ბუბულაშვილი.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

## ლენინური პარტიის ზრუნვით ფრთაშესხმულნი

### ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება მოსკოვში

**მსოფლიო** პროგრესული საზოგადოებრიობა სამოცდამესამეჯერ აღნიშნავს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს. — თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში მთელი მსოფლიოს ქალთა სოლიდარობის დღეს. ეს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა. ყოველწლიურად ყველა კონტინენტის სულ უფრო მეტი მშრომელი ქალი აჯამებს ამ ზეიმის დღეს თავისი საქმიანობის შედეგებს, რაზმავს რიგებს მშვიდობის, თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისათვის საბრძოლველად.

ჩვენს ქვეყანაში წლევანდელი ქალთა საერთაშორისო დღე გაცისკროვნებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს შუქით, მას დღესასწაულობენ ისეთ ვითარებაში, როცა სულ უფრო ძლიერდება საბჭოთა ხალხის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. იმ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დაგვისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე კრემლში.

დიდია საბჭოთა ქალების როლი მსოფლიოს პირველი სოციალიზმის ქვეყნის ყველა მიღწევაში. ისინი აქტიურად იბრძვიან საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის, მეგობრობის სოლიდარობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. კომუნისტურ მშენებლობაში, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში მათი როლის მაღალი შეფასების დადასტურებაა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით. პარტიისა და სახელმწიფოს ეს მაღალი ჯილდო საბჭოეთის შვილებს შთააგონებს ახალ სადიდო საქმეებს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის დიდ თეატრში 7 მარტს გაიმართა ქალაქ მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, დ. ს. პოლიანსკის, ა. ნ. შელეპინს, ი. ვ. ანდროპოვს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.**

აქვე პრეზიდიუმში არიან ქვეყნის წარჩინებული ქალები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **რ. ფ. დემენტიევამ.** მან წაიკითხა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა ქალებისადმი, რომელსაც შეკრებილნი

(დასასრული მე-2 გვ.).

## დიდება საბჭოთა ქალს!

### საზეიმო კრება თბილისში

**გაზაფხულის** პირველ დღეებთან ერთად მოვიდა ჩვენთან 8 მარტის დღესასწაული.

7 მარტს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საწარმოთა მოწინავენი, კულტურისა და მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწენი ტრადიციისამებრ შეიკრიბნენ საზეიმო კრებაზე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

პრეზიდიუმში არიან **ბ. გიგიბერია, პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ბ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, გ. ჯავახიშვილი, ჯ. პატიაშვილი.**

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მუშამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა **ლ. ვიბლიანმა.**

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მ. სირაძე.** მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით საბჭოთა საქართველოს ქალებს მიულოცა დღესასწაული, უსურვა მათ ჯანმრთელობა, სიმხნევე, ახალი წარმატებანი შრომაში, დიდი პირადი ბედნიერება.

გულთბილად მიულოცეს დღესასწაული ქალებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ **ნ. ჯავახიშვილმა,** რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **გ. გეგეჭკორმა,** თბილისის 98-ე საშუალო სკოლის დირექტორმა **ვ. ბრეუკოვმა,** მრავალშვილიანმა დედამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა **ლ. ახათიანმა,** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა **რ. რუხაძემ,** მწერალმა **ნ. დუმბაძემ.**

გაისმა მარშის ხმები და სცენაზე შემოდიან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები. ისინი ულოცავენ თავიანთ დედებსა და ბებიებს, მასწავლებლებსა და პიონერხელმძღვანელებს ნათელ, სასიხარულო დღესასწაულს.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მიმართვა საბჭოთა საქართველოს ყველა ქალისადმი.

კრების შემდეგ დამსწრეთ უჩვენეს რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „უცხო კაცი“

(საქინფორმი).

ვახტანგ გორგანელი

## პარტიული ბილეთი




ამ ალისფერყდიან ბილეთს,
რომ ქცეულა ცისკრის ბინად,
ამ ალისფერყდიან ბილეთს,
შიგ ცხრათვალა მზე რომ ბრწყინავს, -
ამ ალისფერყდიან ბილეთს,
რომ შეკრულა ხსნად და შველად,
ხელში ვილებ როგორც ლამპარს,
უკუნეთის გასათელად;
ამ ალისფერყდიან ბილეთს,
რომ გადასცემს გულებს სითბოს,
ხელში ვილებ როგორც ყვავილს,
ვით მიგნებულ ბედის ხვითოს;
ამ ალისფერყდიან ბილეთს,
გზას რომ აძლევს კეთილ სურვილს,
ხელში ვილებ როგორც გუთანს,
რომ გავავლო მიწას ხნული;
ვილებ როგორც ხორბლის მარცვალს,
რომ დავუდგე მხარში მთესველს,
რომ ეს მკერდი დავაწყურო
სიყვარულში გადგმულ ფესვებს.

ამ ალისფერყდიან ბილეთს,
ვილებ როგორც გამდნარ რკინას,
რომ მიღელავს ღუმელებში
ხვალის დღეთა ჩასაკირად;
ხელში ვილებ როგორც მუხას,
რომ გათალონ დროშის ტარად,
ვილებ როგორც ქვას და აგურს
ხარაჩოზე ასატანად:
ვილებ როგორც ხერხს და ქაფჩას,
ვილებ როგორც გრდემლს და უროს,
ვილებ როგორც ხალხის საგზურს,
რომ სამშობლოს ვემსახურო;
ხელთ მიპყრია როგორც ნატვრის,
როგორც ოქროს გასაღები,
რომ გავაღო ყველა კლიტე
სინათლის და განახლების;
ხელთ მიპყრია როგორც პური
ალალი და უყვედრელი,
როგორც ფიცით სავსე თასი,
კარებთან რომ მოძმეს ელის.

ვინც აგებდა ბარიკადებს,
უკუნეთის იდგა რისხვად
და იძახდა: კომუნისტი
კვდება მხოლოდ კომუნისტად;
ვინც ჩარაზა კავკასია,
გაუთენა დუშმანს შავად
და დროშების ცისარტყელა
ბერლინამდე გადაშალა;
ვინაც ძეგლად აღიმართა,
ვინც გრიგალებს მკერდით შეხვდა,
სწამდა: მხოლოდ ხალხისათვის
კომუნისტი ცოცხლობს ქვეყნად;
ამ ბილეთის ფურცლებს შორის
მხოლოდ მათი გული ფეთქავს,
ვინც გადმოგვცა ღირსეულად
ხუთწლედების ესტაფეტა.
ჩაუქრობელ ცეცხლში დგახარ,
თუ მაისის ტკბები ხილვით,
კომუნისტო, სადაც იყო —
ხალხის ნდობას გაუფრთხილდი!
ხალხის ნდობა ხომალდია,
ხალხის ნატვრა ზღვაა ვრცელი,
ფარი — შენი საქმე წმინდა,
სიმართლე და დაშნა მჭრელი;
სიკეთეა, შენი საჭე,
ჩირაღდანი — შრომა შენი,
მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ ამ გზით
ეს დროშები მოაქვთ შვების.
ამ გზას ჰქვია გამარჯვება.
უკვდავება ამ გზას ჰქვია.
მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ ამ გზით
ფუტკარს სკაში თაფლი მიაქვს.
ეს ბილეთი მის მკერდს ათბობს,
მის კაცობას შვენის აბჯრად,
ვინც სიცოცხლეს უძღვნის მამულს
და ხალხისთვის უჭრის მაჯა;
ვინაც ძმობის ბაირაღებს
არასოდეს ძირს არ ხრიდა,
ვინც ვარსკვლავად იქცა ხალხის
და მომავლის გზად და ხიდად.

მე ამ ბილეთს ვილებ ხელში
და ცას ერთი სიტყვა ქარგავს:
კიდევ უფრო დაჰკარ უროს,
კიდევ მეტი ცეცხლი ნამგალს;
მეტი თოხი, მეტი ბარი,
მეტი დაზგა უფრო კიდევ;
კიდევ უფრო, კიდევ უფრო
მეტ იღბლიან აკვანს თლიდე;
კიდევ მეტ ვაზს უნდა გახვლა;
ყველა სიტყვა საქმედ იქცეს,
მეტი არხი, მეტი ჰესი,
გაკაშკაშდეს უფრო სივრცე.
ლაჟვარდს სძრავდეს კიდევ უფრო
ჯეჯილების ლურჯი ტალღა...
წინ, მხოლოდ წინ, კომუნისტო,
კიდევ უფრო დროშა მაღლა.
ვარსკვლავებზე უფრო ბევრი,
უფრო მეტი საქმე გიცდის —
წინ, მხოლოდ წინ, წინ, მხოლოდ წინ,
რადგან შენ ხარ კომუნისტი!

# ლენინური პარტიის ზრუნვით ფრთაშესხმულნი

(დასასრული)

დიდი აღფრთოვანებითა და მადლიერებით, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ტრიბუნაზეა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, რომელმაც მოხსენება გააკეთა. ჩვენი ქვეყნის ყველა ქალის სახელით მან დიდი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს მაღალი ჯილდოსათვის — ხალხთა მეგობრობის ორდენისათვის. აღგითქვამთ, თქვა მან, რომ საბჭოთა ქალები მუდამ მთელ თავიანთ ცოდნას, პროფესიულ ოსტატობას, შთაგონებას მოახმარენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობი სამშობლოს კეთილდღეობას. ჩვენ კვლავაც ყველაფერს ვიღონებთ, რომ იზრდებოდეს ხალხთა ურთიერთგაგება და მეგობრობა ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ.

საზეიმო კრების მონაწილეთა სახელით ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში საბჭოთა ქალების წვლილის მაღალი შეფასებისათვის, რაც გამოთქმულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში საბჭოთა ქალებისადმი.

სოციალიზმმა საბჭოთა ქალებს უფართოესი შესაძლებლობანი გადაუშალა, რათა გამოიყენონ თავიანთი უფლებანი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ყველა დარგში. მილიონობით საბჭოთა ქალი ყველგან, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს კიდით კიდემდე, ცხოვრობს და შრომობს როგორც სოციალისტური საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი. და ამას ისინი, უწინარეს ყოვლისა, უნდა უმადლოდნენ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ჩვენს ქვეყანაში ქალების საკითხის გადაწყვეტას.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს ერთმანეთს შეუთავსონ საწარმოო შრომა, საზოგადოებრივი საქმიანობა, დედობა და ოჯახური მოვალეობანი, მათ ინტერესებს განუხრელად იცავს კანონი.

ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ქალები, რომლებიც ლენინურმა პარტიამ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზარდა, ბევრ ძალღონესა და ენერგიას ახმარენ თანამშრომლობისა და მეგობრობის განვითარებას სოციალისტური სახელმწიფოების, განვითარებადი და კაპიტალისტური ქვეყნების ქალთა საზოგადოებრიობასთან. ისინი ამაყობენ, რომ ვიეტნამში მშვიდობის ძალების დიდ გამარჯვებაში მათი წვლილიც არის. ისინი მხარს უჭერენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან არათანასწორუფლებიანობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დასასრულ ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ თქვა, რომ საერთაშორისო დღის — 8 მარტს ყველა კონტინენტის ქალები წელს აღნიშნავენ მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, თავიანთი უფლებებისათვის, შვილების ბედნიერებისათვის ბრძოლის ნიშნით. ქალთა ნამდვილი ინტერესების გამომხატველია, თქვა მან, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომლის ავტორიტეტი და გავლენა ყოველდღიურად ძლიერდება. ჩვენ მხურვალედ ვულოცავთ საერთაშორისო ფედერაციას დღესასწაულს, ვუსურვებთ ახალ წარმატებებს და ვაცხადებთ, რომ საბჭოთა ქალები კვლავაც ენერგიულად მიიღებენ მონაწილეობას მის კეთილშობილურ საქმიანობაში.

მოსკოველთა სახელით სახელოვან მშრომელ ქალებს მხურვალედ მიულოცა დღესასწაული მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის ამწყობმა ზეინკალმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ზ. შაშკინამ.

საბჭოთა ქალები, თქვა მან, თავიანთ მშრომელ ძმებთან ერთად, მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აქტიურად მონაწილეობენ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამით საბჭოეთის სახელოვანი შვილები ახალი ძალით ცხადყოფენ უსაზღვრო ერთგულებას მშობლიური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, ლენინის დიადი იდეებისადმი, ცხადყოფენ, რომ მზად არიან კვლავაც მთელი ენერგია, ძალღონე და ცოდნა მოახმარონ ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას.

— მოსკოვის მიდამოების სთვლა ზათხულო მინდვრებიდან, სოფლის მშრომელთა სახელით გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს, — ასეთი სიტყვებით მიმართა შეკრებილთ სოციალისტური შრომის გმირმა დომოდედოვოს რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კონსტანტინოვოს" მწველავმა ნ. პ. რიგაევამ. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ქალებზე დიდი ზრუნვისათვის.

ჩვენ, თქვა დასასრულ ნ. პ. რიგაევამ, ვამაყობთ, რომ ჩვენი პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, ხალხთა მეგობრობის პოლიტიკას. საბჭოთა ქალები შესანიშნავი დღესასწაულის დღეს მთელი მსოფლიოს ქალებს ეუბნებიან: „დიდ ბედნიერებას გისურვებთ თქვენ და თქვენს შვილებს! დაე მშვიდობა სუფევდეს ქვეყნად!"

დედებს, დებს, თავის ამხანაგებს გულითადად მიულოცა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლარისა კრუპენოვამ. საბჭოთა ახალგაზრდობას, თქვა მან, დიდი ბედნიერება ხვდა შრომობდეს დიდი ოქტომბრის ქვეყანაში, რომელიც კომუნიზმს აშენებს. და ჩვენ ვამაყობთ, რომ არ არის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნების, კულტურის ისეთი დარგი, სადაც, ქალიშვილები და ჭაბუკები არ გამოდიოდნენ კომუნისტური მომავლის აქტიურ მშენებლებად.

გაისმის მუსიკა და დაფდაფის ხმები და დარბაზში შემოდიან ნორჩი ლენინელები. ისინი გულთბილად ესალმებიან თავიანთ დედებსა და ბებიებს, დებს, მასწავლებლებსა და პიონერხელმძღვანელებს, ულოცავენ გაზაფხულის სასიხარულო დღესასწაულს. გაისმის ლექსები, რომლებიც ხოტბას ასხამენ სამშობლოს, პარტიას.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტალინსა და სხვა ქალაქებში.

(საკდესი).

# საქართველოს ქალები — ხუთწლედს

**ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრების მიმართვა საბჭოთა საქართველოს ყველა ქალისადმი**

**ძვირფასო მეგობრებო!**

უდიდესი შრომითი აღმავლობაა ჩვენს ქვეყანაში, მილიონთა შემოქმედებითი ენერგიით იგება კომუნიზმის დიდებული შენობა. მამაკაცების მხარდამხარ გმირულად შრომობენ საბჭოთა ქალები. ეს ბუნებრივიც არის. სოციალისტურმა ყოფამ, საბჭოთა კონსტიტუციამ მსოფლიოში პირველად ქალს მამაკაცთან ერთად თანასწორი უფლება მიანიჭა.

მრავალმხრივი და დიდია საბჭოთა ქალების საქმიანობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახლა არავის არ უკვირს ქალი მშენებელი და ქალი ოსტატი, მერგოლეური და ბრიგადირი, მექანიზატორი და დირექტორი, პროფესორი და ხელოვანი, მასწავლებელი და ინჟინერი, ექიმი და სახელმწიფო მოღვაწე.

საზეიმო კრება სულითა და გულით მიესალმება საბჭოთა საქართველოს ყველა ქალს და ულოცავს მათ ქალთა საერთაშორისო დღეს.

წლევანდელი ჩვენი დღესასწაული ღირსშესანიშნავ ვითარებაში აღინიშნება. ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაშლილია საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. იგი მოითხოვს დიდ და დაძაბულ შრომას, უდიდეს ენერგიასა და ორგანიზებულობას, შემოქმედებით მიდგომასა და გამბედაობას წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. სწორედ წლევანდელ მაჩვენებლებზე ბევრად იქნება დამოკიდებული მეცხრე ხუთწლედის ბედი. დღეს ამოცანა ის არის, რომ შევასრულოთ არა მარტო საგეგმო დავალებები, არამედ მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ მათ, შევქმნათ საჭირო მარაგნამეტი მომდევნო წლებისათვის. მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამას? პირველ რიგში — შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებით, მუშაობაში ორგანიზებულობის ამაღლებით, უმცირესი დანახარჯებით სასურველი შედეგების მიღწევით, მომჭირნეობის რეჟიმით.

საქართველოს ქალები არასოდეს არ ყოფილან გულგრილნი თავისი ქვეყნის, მისი მომავლის ბედისადმი. ქართველი ქალი მარტო შვილებს როდი უზრდიდა ქვეყანას, იგი პირველ რიგში თვითონ იყო გულმხურვალე მამულიშვილი, ოჯახის ბურჯი და დედაენის ფარი. რესპუბლიკის ყოველ ქალს დღენიადაგ უნდა ახსოვდეს თავისი ვალი — იყოს ქვეყნის მშენებელთა პირველ რიგებში. ჩვენი გულის, ჩვენი სულის ნაწილი უნდა ჩავაქსოვოთ საქმეს, რომელსაც ვემსახურებით, დაზგასთან ვშრომობთ თუ ყანაში, მეცხოველეობის ფერმაში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა თუ მომსახურების სფეროში. ამავე დროს — კომუნისტური სულისკვეთებით აღვზარდოთ მომავალი თაობა, ჩვენი შვილები ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები, შეგნებული მოქალაქენი უნდა იყონ. ეს ისეთი ვალია, რომელზეც დამოკიდებულია ყველაზე ორგანიზებული, ყველაზე შრომისმოყვარე საზოგადოების ბედი, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ და რომელშიც უნდა იცხოვრონ ყველაზე შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერმა, ორგანიზებულმა და დიდად შეგნებულმა ადამიანებმა.

დიახ, ჩვენ გველის უდიდესი მნიშვნელობის სამუშაო, რადგან, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, „ჩვენ როდი ვაშენებთ უსაქმურთა სამყაროს, სადაც რძის მდინარეები და თაფლის ნაპირებია". არც ის გვავიწყდება, რომ დღესაც ჯერ კიდევ თავს იჩენენ წარსულის მავნე გადმონაშთები: არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება შრომისადმი, მომხვეჭელობა, მექრთამეობა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესის სხვა დარღვევები. ამ ნაკლოვანებებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულ IX პლენუმზეც გაესვა ხაზი.

ჩვენი მოვალეობაა ხუთწლედის მესამე წელი დამკვრელურად ვაქციოთ არა მარტო საწარმოო მაჩვენებლების შესრულების, არამედ ამ ნაკლოვანებებთან დაუცხრომელი ბრძოლის, შეურიგებლობის მხრივაც. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაც ისე უნდა მოვაწყოთ, რომ არა მარტო აქტიურად დავუჭიროთ მხარი და წავახალისოთ მოწინავე, არამედ გამოვავლინოთ ჩამორჩენილიც, დისციპლინის დამრღვევი, ის, ვინც უგულოდ მუშაობს.

საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის საყოველთაო-სახალხო საქმე გახდეს.

დღეს საბჭოთა ქალების მიზნები განუყოფელია პარტიის, ხალხის მიზნებისაგან. მათ შორის არის საქართველოს ქალთა მრავალათასიანი არმია, რომელიც აქტიურად ჩაება ხუთწლედის მესამე წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

ქალთა ტრადიციულ დღესასწაულზე სამშობლოს კვლავაც თავდადებულ, შემოქმედებითს შრომას აღვუთქვამთ და მოგმართავთ თქვენ, საბჭოთა საქართველოს ქალებო! 1973 წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება ჩვენს ხელთ არის. ახალი შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ წლევანდელი წელიწადი, ნუ დავიშურებთ ნურც ძალას, ნურც ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ვიყოთ შეჯიბრების პირველ რიგებში, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ ისე, რომ პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი მოქალაქეობრივი და პატრიოტული ვალი პარტიისა და მთავრობის, სამშობლოს აწმყოსა და მომავლის წინაშე.

დაე მრავლდებოდეს საბჭოთა საქართველოს ქალთა წვლილი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებაში!

დაე მადლიანი იყოს თქვენი მარჯვენის ბარაქა!

სამშობლოს, პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ერთად ვუპატაკოთ ახალი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში!

# ოქროს მედლები — მეცნიერებს

**მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი — აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს**

7 მარტს მოსკოვის მეცნიერთა სახლში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესიამ. დასკვნით სხდომაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა მეცნიერთა ჯგუფს გადასცა აკადემიის 1972 წლის უმაღლესი ჯილდოები საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და სამამულო ისტორიის პრობლემათა დამუშავებაში დიდი წვლილისათვის კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედლით დაჯილდოვდა სოციალისტური შრომის გმირი აკადემიკოსი პ. ნ. პოსპელოვი. ასეთივე ჯილდო მიენიჭა ბულგარელ მეცნიერს აკადემიკოს ტოდორ პავლოვს მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში დაწერილი ნაშრომებისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფესორ მაქს შტეენბეკს გადაეცა მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი პლაზმის ფიზიკისა და გამოყენებითი ფიზიკის დარგში მიღწევებისათვის.

მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი მიენიჭა ნაშრომებისათვის მათემატიკისა და მექანიკის დარგში აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს.

დაჯილდოების შემდეგ შეკრებილთა წინაშე მეცნიერული მოხსენებები წაიკითხეს აკადემიკოსებმა პ. ნ. პოსპელოვმა, ტ. პავლოვმა და პროფესორმა მ. შტეენბეკმა.

შემდეგ პოლონეთის კოპერნიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. გრომშჩევსკიმ კოპერნიკის სამახსოვრო მედლები გადასცა აკადემიკოსებს მ. ვ. კელდიშს, მ. დ. მილიონშჩიკოვსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბ. ა. სკრიაბინს.

საერთო კრებას დაესწრნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში დიმიტრ ჟულევი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ხორსტ ბიტნერი. (საკდესი).

# მიფრინავს „კოსმოს-551"

**1973 წლის** 6 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-551". თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

# რაკეტა სტრატოსფეროში მიფრინავს

**საფრანგეთის კერგელენის კუნძულიდან პირველად გაუშვეს საბჭოთა მეტეოროლოგიური რაკეტა მ-100. გაშვება განხორციელდა კოსმოსურ მეტეოროლოგიასა და აერონომიაში ერთობლივი მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შეთანხმების შესაბამისად. ამ კუნძულზე სამუშაოთა პროგრამით გათვალისწინებულია მომდევნო ხამ თვეში გაშვებულ იქნეს კიდევ 20 ამგვარი რაკეტა.**

**ამ ცნობას განმარტავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ი. ა. იზრაელი.**

— აი უკვე 20 წელზე მეტია, რაც საბჭოთა კავშირში სამეცნიერო-საკვლევი მეტეოროლოგიური რაკეტების გაშვება სისტემატურად წარმოებს. აქამდე რაკეტებს ვუშვებდით ოთხ პუნქტში: ჰეისის კუნძულის მაღალგანედურ ობსერვატორიაში (ფრანც იოსების მიწა), სსრ კავშირის ეროვნული ნაწილის საშუალო ზოლში (ქალაქ ვოლგოგრადის რაიონი), მაგნიტური ეკვატორის რაიონში, ინდოეთის ყველაზე სამხრეთ ნაწილში (ტუმბის კუნძული) და ანტარქტიდის სადგურ „მოლოდიოჟნაიაში". კერგელენის კუნძული შემთხვევით როდი ამოვარჩიეთ ასეთ სამუშაოთა მოსაწყობად. აქ მოქმედებს საფრანგეთის დიდი სადგური, რომელიც აწყობს მეტეოროლოგიურ და გეოფიზიკურ კვლევას. კუნძული კარგად შეეწყო დედამიწის ზედა ატმოსფეროს მეტეოროლოგიური ზონდირების მერიდიანულ ქსელს.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ზედა ატმოსფეროს ზონდირების მონაცემები მივიღოთ მრავალი სხვადასხვა წერტილიდან. მათი ანალიზი მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს გამოავლინონ სხვადასხვა ფიზიკური პროცესის კანონზომიერებანი, მათი კავშირი ამინდის წარმომქმნელ ფაქტორებთან.

ამ ექსპერიმენტის ჩატარების მომენტისათვის ფრანგმა კოლეგებმა ყოველივე საჭირო მოგვიმზადეს. ჩვენი ქვეყნის სახელით გაემგზავრა ცენტრალური აეროლოგიური ობსერვატორიის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ს. პ. პეროვი. 27 თებერვალს პირველი საბჭოთა მეტეოროლოგიური რაკეტა 92 კილომეტრ სიმაღლეზე ავიდა. რაკეტაზე დადგმული იყო სამეცნიერო აპარატურა და ხელსაწყოები, რომლებიც ზომავდნენ ჰაერის ტემპერატურას, ქარის სიჩქარეს და მიმართულებას, ატმოსფერულ წნევას. 80-90 კილომეტრი სიმაღლიდან მოსული ინფორმაცია ზედა ატმოსფეროს შესახებ უკვე ახლა გვაძლევს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ მზე-ატმოსფეროს ურთიერთობაზე და გამოვიყენოთ ეს მასალები ამინდის საცდელი პროგნოზების შესადგენად.

რაკეტის ფრენის დროს მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობდა. ერთი დღის შემდეგ ინფორმაცია გაზომილი პარამეტრების შესახებ მოსკოვში გადმოიცა დეტალური ანალიზისა და დამუშავებისათვის.

სტრატოსფეროს დაზვერვა მეტეოროლოგიური რაკეტებით გრძელდება. სტრატოსფეროში ფიზიკური მოვლენების არსის შესწავლა მეცნიერებას ახალ შესაძლებლობებს მისცემს, რათა შეადგინოს რამდენიმე კვირის და, შესაძლოა, რამდენიმე თვის გრძელვადიანი პროგრამები.

ვ. მინოვსკაია,
საკდესის კორ.

მოსკოვი.

**პარიზი**

## მეორე ტურის წინ

7 მარტი. (საკდესი). [illegible] ტურში ვერ მიიღო ამომრჩეველთა ხმების საჭირო 10 პროცენტი, 765-მა თვითონ მოხსნა თავისი კანდიდატურა.

მომავალ კვირადღეს საარჩევნო ოლქებში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ძირითადად მემარცხენე ძალების კავშირისა და მმართველი პარტიების კოალიციის კანდიდატები.

**ვაშინგტონი**

## რ. ნიქსონის განცხადება

7 მარტი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა დღეს გამოაცხადა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო პოლიტიკის კომისიის შექმნა.

კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ფინანსთა მინისტრი ჯ. შულცი, ვიცე-თავმჯდომარედ — ვაჭრობის მინისტრი ფ. დენტი.

მათ გარდა, კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი არიან სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი, პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ეკონომიურ საქმეებში პ. ფლენიგანი, პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი სავაჭრო მოლაპარაკებაზე უ. ებერლი.

**ტოკიო**

## ამერიკის ზეგავლენით

7 მარტი. (საკდესი). იაპონიამ შეერთებულ შტატებს კიდევ რამდენიმე სერიოზულ სავაჭრო-ეკონომიურ საკითხში დაუთმო. როგორც გაზეთი „მაინიტი" წერს, იაპონიის მთავრობა დათანხმდა, შეამსუბუქოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მთელი რიგი სხვა საქონლისა და კაპიტალის შემოტანის პირობები.

იაპონია-ამერიკის „სავაჭრო ომში", რომელიც უკვე რამდენიმე წელია გრძელდება, ამერიკის შეერთებული შტატები არაერთხელ დაემუქრა იაპონიას, რომ მიმართავდა პროტექციონიზმის პოლიტიკას, თუ იგი არ დათანხმდებოდა ამერიკის მოთხოვნებზე განეხორციელებინა ღონისძიებანი იაპონიასთან ვაჭრობაში შეერთებული შტატების უზარმაზარი დეფიციტის შემცირების მიზნით. ამ მოთხოვნებს წინაალუდგა ტოკიო.



ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქალებმა, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ და მამაცურად შრომობდნენ თავიანთი ქვეყნის საკეთილდღეოდ. დღეს ვიეტნამის მიწა-წყალზე მშვიდობა სუფევს და ალბათ ამიტომაც ახე ბევრია ყვავილები მისი დედაქალაქის ქუჩებში. ჰანოის მახლობლად განლაგებული ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ყვავილების მოყვანაში სპეციალიზდება. ქალიშვილები ყვავილებით სავსე კალათებით (სურათზე), ჩვეულებრივი სურათია დედაქალაქისაკენ მიმავალ გზებზე.

საკდესის ფოტოქრონიკა



პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას, ახალგაზრდა კადრების მომზადებას. სპეციალისტ-მედიკოსთა მნიშვნელოვან ნაწილს ქალები შეადგენენ, რომლებიც აქტიურად ეუფლებიან ცოდნას სამედიცინო ინსტიტუტებში და შრომობენ ქვეყნის ყველა კუთხეში. სურათზე: მიმდინარეობს მეცადინეობა მიკრობიოლოგიაში ბელოსტოკის მეცნიერებათა აკადემიაში.

ცაფ-საკდესის ფოტო.



ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა. ქალები შეადგენენ რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტს. ანა მურინოვა (სურათზე) ერთ-ერთი საუკეთესო მუშაა ტრნავის „ხკლოპლასტის" ხაწარმოში.

ჩტკ-საკდესის ფოტო.

**დაკა**

# ბანგლადეშელი ხალხი ხმას აძლევს

**7 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ა. შალნევი გვატყობინებს: [illegible] 16 ათას საარჩევნო უბანში დაიწყო [illegible] ასამბლეის (პარლამენტის) დეპუტატთა [illegible]**

[illegible] დებელი კანდიდატები მონაწილეობენ არჩევნებში, რომელიც პირველად ეწყობა ბანგლადეშში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

[illegible] ვების შესახებ.

ბანგლადეშის პარტიათა წინასაარჩევნო მანიფესტებში დასახულია ქვეყნის წინაშე მდგომი საკმაოდ რთული პრობლემების, ძირითადად დაჩქარებული ეკონომიური რეკონსტრუქციის პრობლემების გადაწყვეტის გზები. სა[illegible] წარმატებით გადაწყვეტის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით.

არჩევნები დღეს დამთავრდება და მაშინვე დაიწყება ხმების დათვლა. 9 მარტს ოფიციალურად ცნობილი გახდება ეროვნული ასამბლეის 300 დეპუტატის სახელი.

# ვერ შეთანხმდნენ

**ბრიუსელი**

**7 მარტი. (საკდესი). დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიუღებლად დამთავრდა აქ ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.**

სესიაზე განიხილეს მთელი რიგი საგარეოპოლიტიკური საკითხები, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მზარდი ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა.

მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი გამოვლინდა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან ერთიანი სავაჭრო შეთანხმების დადების საკითხის განხილვისას, რომელმაც უნდა შეცვალოს ამ ქვეყნებისა და „საერთო ბაზრის" ორმხრივი შეთანხმებანი. ამ დიდმნიშვნელოვან რაიონში „ცხრათა" მონაწილე ქვეყნების საქონლის გავრცელების გაძლიერების გეგმები ამერიკის შეერთებული შტატების მზარდ უკმაყოფილებას იწვევს. ამ გეგმებს ვაშინგტონი მიიჩნევს თავისი ინტერესების ხელყოფად მსოფლიო ბაზრებისათვის ბრძოლის გამწვავების პირობებში.

სესიის დროს მთელი რიგი ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა ინგლისი, გამოსვლისას ცდილობდნენ „არ ეწყენინებინათ" ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, და პარტნიორებს არწმუნებდნენ, ვაშინგტონის ინტერესებს ანგარიში უნდა გავუწიოთ. სხვა ქვეყნებმა, უწინარეს ყოვლისა საფრანგეთმა, გაილაშქრეს ამერიკის ზემოქმედების წინააღმდეგ. ამის შედეგად აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ. პრობლემის შესწავლა გადაეცათ მუდმივ წარმომადგენლებს მინისტრების საბჭოში.

სესიაზე მოისმინეს აგრეთვე საკითხი ნორვეგიასთან მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, რომელიც ეხება მასთან შეთანხმების დადებას ნორვეგიის მიერ „საერთო ბაზარში" შესვლაზე უარის თქმის შემდეგ. ეს მოლაპარაკება მიმდინარეობს უაღრესად დაძაბულ ვითარებაში. ნორვეგიის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან ევროპის ეკონომიური გაერთიანების წინადადებებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ ქვეყნის ეკონომიკის საარსებო ინტერესებს და დისკრიმინაციული ხასიათისაა.

მინისტრები აგრეთვე ვერ შეთანხმდნენ ვერც „ცხრათა" ქვეყნებში ინფლაციასთან ბრძოლის რთული პრობლემის თაობაზე, ამ დროს კი ინფლაცია განუწყვეტლივ იზრდება.

დღის წესრიგის უმთავრესი პრობლემების გადაჭრაში „ცხრათა" მონაწილე ქვეყნების დიპლომატიურ უწყებათა მეთაურების უძლურებას მოწმობს ისიც, რომ შეკვეცეს მინისტრების საბჭოს სესიის მუშაობის ხანგრძლივობა, რომელმაც ორი დღის ნაცვლად მხოლოდ ერთ დღეს გასტანა.

**ლონდონი**

# მკვლელობის ნაქეზება

**7 მარტი. (საკდესი). ინგლისის ჯარებმა ჩრდილოეთ ირლანდიაში მიიღეს განუსაზღვრელი რწმუნებულებანი, რომლებიც ნებას აძლევენ ყოველ მომენტში ცეცხლი დაუშინონ მშვიდობიან მცხოვრებლებს.**

ინგლისელი ჯარისკაცებისათვის მიცემულ ახალ ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ მათ შეუძლიათ იარაღი გამოიყენონ საკუთარი შეხედულებისამებრ. წინათ მათ ოფიციალურად ნებადართული ჰქონდათ ესროლათ მხოლოდ შეიარაღებული პირებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღემდე ჯარისკაცები ისროდნენ სრულიად უმნიშვნელო საბაბით და უსაბაბოდაც, ახალი ინსტრუქცია ფაქტიურად მკვლელობის წახალისებაა.

ცნობილია, რომ ინგლისელთა ტყვიებით ოლსტერში დაიღუპა ბევრი ქალი და ბავშვი, მათ კი ვერავინ ჩათვლის „ტერორისტებად", რომელთა წინააღმდეგ თითქოს უნდა იბრძოდნენ ინგლისიდან მოსული ჯარები.

როცა ლონდონი აუქმებს ინგლისელ ჯარისკაცთა თვითნებობის უმნიშვნელო შეზღუდვებსაც კი, იგი გვიჩვენებს, რომ განზრახული აქვს კიდევ უფრო გააძლიერონ შეიარაღებული რეპრესიები ჩრდილოეთ ირლანდიაში. ინგლისის ხელისუფალთა გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა ვითარებაში მიმდინარეობს 8 მარტს დანიშნული პლებისციტი ინგლისთან ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციური კავშირის შენარჩუნების შესახებ.

## მხოლოდ

● **ამერიკის ავიაცია** განაგრძობს კამბოჯის განთავისუფლებული რაიონების დაბომბვას პნომპენის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს განაცხადა სამშაბათს წყნარი ოკეანის რაიონში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობამ.

● **პალესტინის ტერორისტული** ორგანიზაციის „შავი სექტემბრის" წევრებს, რომლებიც 1 მარტს შეიჭრნენ ხართუმის საუდის არაბეთის საელჩოში და დახოცეს მძევლად აყვანილი სამი დიპლომატი, გაასამართლებენ. ეს განაცხადა სუდანის პრეზიდენტმა ჯ. ნიმეირიმ. სუდანის მიწა-წყალზე ჩადენილ დანაშაულს, აღნიშნა მან, სუდანის სასამართლო განიხილავს ქვეყნის კანონების შესაბამისად.

● **ოთხი 320 კილოგრამიანი** ტორპედო ამოიღეს ბოდეგა-ბეის ყურის (აშშ-ის, კალიფორნიის სანაპირო) ფსკერიდან. ტორპედოები ადგილობრივი მებადურების ბადეში გახლართულიყო. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლებმა უარი თქვეს განემარტათ, თუ როგორ აღმოჩნდა შეერთებულ შტატებში დამზადებული საბრძოლო ტორპედოები ყურის ფსკერზე.

● **მორიგი პროვოკაცია** მოაწყვეს რომში ნეოფაშისტურმა არამზადებმა. ისინი თავს დაესხნენ გაზშირებული ნეოფაშისტური პროვოკაციების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეებს. შეტაკების შედეგად რამდენიმე დემონსტრანტი დაშავდა. მეორე ფაშისტური პროვოკაცია მოხდა ნეაპოლის „არლეკინოს" კინოთეატრში. სეანსის დროს, როცა უჩვენებდნენ ჩარლი ჩაპლინის ცნობილ, ფაშიზმის მამხილებელ ფილმს „დიქტატორს", პარტერში ბომბი აფეთქდა. ორი კაცი მძიმედ დაიჭრა, ბევრს კონტუზია მოუვიდა.

● **ალპებში, შრიტცინგზეის** რაიონში ზვავის შედეგად ოთხი კაცი დაიღუპა და სამი დასახიჩრდა. უკანასკნელი 14 წლის მანძილზე ალპებში ზვავმა 800-ზე მეტი კაცი შეიწირა.

## ფაქტები

**ნიუ-იორკი**

# ამერიკელი ქალები იბრძვიან

**ამერიკელი ქალები სულ უფრო აქტიურებენ ბრძოლას თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური უფლებებისათვის, ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ სერიოზული პრობლემაა.**

ქალები შეადგენენ ამერიკის მშრომელი მოსახლეობის თითქმის 40 პროცენტს, მაგრამ თანაბარი მუშაობისათვის ისინი ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე მამაკაცები. უმუშევრობა ქალთა შორის ბევრად მაღალია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში.

მეტი წილი უბრალო ამერიკელი ქალებისათვის კვლავ ხელმიუწვდომელია პროფესიები, რომლებიც მაღალ კვალიფიკაციას ან სპეციალურ ცოდნას მოითხოვენ. მაგალითად, ექიმთა შორის ქალები მხოლოდ 6,7 პროცენტია, იურისტთა შორის ქალები 4,8 პროცენტს შეადგენენ, ინჟინერთა შორის — 1,6 პროცენტს.

ქალთა პოლიტიკური უთანასწორობის შედეგია მათი ნამდვილად უმნიშვნელო წარმომადგენლობა კონგრესში, ხელისუფლების ადგილობრივ და ფედერალურ ორგანოებში. 1972 წლის არჩევნების დროს კონგრესში აირჩიეს მხოლოდ 14 ქალი.

**7 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ი. შიდსი გვატყობინებს:**

□

თუმცა კონგრესმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მიიღო კონსტიტუციაში შესწორება, რომელიც ქალებზეავრცელებს „თანაბარ დაცვას კანონით", მაგრამ ეს შესწორება დღემდე ძალაში არ შესულა. დიდი ხნის მომწიფებული ღონისძიება წააწყდა მრავალ დაბრკოლებას შტატების საკანონმდებლო ასამბლეებში.

ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა მოძრაობის შემდგომ განმტკიცებას, მათთან ქვეყნის მთელი პროგრესული ძალების სოლიდარობას.

ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის აქტიურად იბრძვიან ამერიკის კომუნისტები და კომკავშირელები. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ქალთა შორის მუშაობის კომისიამ აღნიშნა, რომ ქალთა დისკრიმინაციას შეიძლება ბოლო მოეღოს მხოლოდ ამერიკის მშრომელი მოსახლეობის ერთობლივი მოქმედების გზით.

# მსოფლიო დღეს

# ქალი — სიცოცხლის დედა

**8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა**



## ხალხის რჩეული

### დაგელოცოს გამრჯე მარჯვენა!

**ახმეტა.** ციალა ტერტერაშვილის შრომისმოყვარეობაზე, მის კარგ ქალობაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ არა მარტო მშობლიურ სოფელში, არამედ რაიონშიც. მატანი დიდი სოფელია ახმეტის რაიონში. აქ მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში და თუ იგი რაიონში მოწინავეა, ეს აქაურ მშრომელთა პატიოსანი შრომის, გამრჯე მარჯვენის შედეგია, რაშიც ციალასაც მიუძღვის გარკვეული წვლილი.

როცა ციალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, იგი ხალხისავე გულის ნამდვილი მესაიდუმლე გახდა — კიდევ უფრო დაუახლოვდა ამომრჩევლებს, დაინტერესდა მათი ცხოვრებით, საჭიროებით. დეპუტატის ფხიზელ თვალს არ გამოეპარა, რომ სოფლის ერთ-ერთი საუბნო გზა წვიმის დროს ისე ატალახდებოდა ხოლმე, რომ გავლა უჭირდათ ადამიანებს, ტრანსპორტს. განსაკუთრებით კი წუხდნენ მოხუცები და მოსწავლეები. ციალამ არ დააყოვნა, სოფლის თავკაცებს მიმართა და ხალხის შრომითი მონაწილეობით მალე გზა შეკეთდა. მეზობლები ეზოების საზღვრის თაობაზე დაობდნენ, მოსალოდნელი იყო უსიამოვნება. დეპუტატი გაეცნო მათი დავის მიზეზებს და კეთილი რჩევით დააშოშმინა მოდავენი.

ეს მხოლოდ ეპიზოდებია დეპუტატის მრავალფეროვანი საქმიანობიდან. რა სიახლენი უნდა წამოიწყონ სოფელში, ან საარჩევნო ოლქში, რა საკითხი უნდა იყოს მოსაგვარებელი, რომ ციალას ხელი არ ერიოს მასში. მას უნარიც შესწევს და დროსაც პოულობს ამისათვის.

მაგრამ დეპუტატმა ხალხის ნდობა და სიყვარული მარტო ამით როდი დაიმსახურა. იგი მოწინავეა შრომაშიც. შარშან, წლის დასაწყისში, როცა საბჭოთა მეურნეობაში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტურ ვალდებულებათა აღებაზე მსჯელობდნენ, ციალამ პირველმა ითხოვა სიტყვა.

— თვითეულმა ჩვენგანმა, — თქვა მან, — კარგად უნდა აეწონდავწონოთ შესაძლებლობანი და რეზერვები, პირადი გეგმები უნდა დავისახოთ და ყველამ სათანადო წვლილი შევიტანოთ საერთო წარმატებაში. პირადად მე მოსავლელად ვიღებ ერთ ჰექტარ ვენახს, ამდენსავე სიმინდის ნათესს და აბრეშუმის ჭიის 19 გრამ მურს.

ამასთან ციალამ მოსავლის ისეთი ციფრები დაასახელა, რომ ბევრს გაუკვირდა კიდევაც, მაგრამ ვინც მას კარგად იცნობდა, გაიფიქრა — ეს ისეთი ქალია, რომ პირობას არ დაარღვევსო. დეპუტატის მაგალითს ბევრი მიუშა გაჰყვა და გადიდებული ვალდებულებები აიღეს.

ციალამ შრომა გააორკეცა. დღენიადაგ ვენახს, „მინდვრის დედოფალს", აბრეშუმის ჭიას დასტრიალებდა. ვენახის მოვლა მან კარგად იცის, მაგრამ აბა რა ექნა, კვირტმა არ გაიღვიძა, ვაზი თითქმის მთლიანად მოყინული აღმოჩნდა. დეპუტატს ხელი მაინც არ დაუკლია, აშონაყარ ყლორტებს სათუთად უვლიდა, რათა მომავალ წლებში ვაზად ექცია.

ციალას ვალდებულება 35 ცენტნერ მარცვალს ითვალისწინებდა. მაგრამ როცა მისი ნაკვეთიდან საველე საწყობმა ტარო მიიწონა, აღმოჩნდა, რომ მარცვალზე გადაყვანით 64 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

სიმინდზე ადრე კი დეპუტატმა აბრეშუმის პარკის ჩაბარებით ისახელა თავი. მოსავლელად გამოყვანებული 19 გრამი მურიდან გეგმით ნავარაუდევი 50 კილოგრამის ნაცვლად 98 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიუწონა მიმღებ პუნქტს.

ასე შეასრულა დეპუტატმა პირობა, მაგრამ იგი ამით როდი კმაყოფილდება, უკვე აქედანვე ისახავს მომავლის გეგმებს.

ასეთია მატანელ მშრომელთა რჩეული. ბარაქალა მის ქალობას!

**ა. თვალიაშვილი.**

## რექტორი ქალი

### გამოცდილება, ცხოვრების მაჯისცემა



**ყველაფერს** აქ მზრუნველი და სათუთი ხელი ატყვია. ყველგან იგრძნობა წესრიგი და სისუფთავე. დერეფნებში სრული სიწყნარეა, აუდიტორიებში, სადაც ერთდროულად 3000 სტუდენტი სწავლობს, მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს.

დღეს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს ნათელა ვასაძეს შეხვედრა აქვს პირველკურსელებთან. ეს ახალგაზრდები არიან, რომელთა ინსტიტუტში ჩარიცხვაში უშუალოდ მან მიიღო მონაწილეობა. ის იყო მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარე და მაქსიმალურად შეეცადა ინსტიტუტში ნამდვილად ღირსეული ახალგაზრდები მიეღოთ.

სანამ ჩვენს მკითხველებს მოვუთხრობდით, თუ რას ფიქრობს რექტორი, როგორია მისი გეგმები ინსტიტუტის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მინდა ორიოდე სიტყვით გაგაცნოთ ვასაძის ადრინდელი მოღვაწეობა.

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ნათელა გატაცებული იყო პიონერული მუშაობით. სტუდენტობის წლებში, როცა ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, თავი გამოიჩინა როგორც აქტიურმა კომკავშირელმა ახალგაზრდამ. ნათელა ჯერ აირჩიეს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტში, შემდეგ მას, მესამე კურსის სტუდენტს, აგზავნიან სამუშაოდ კომკავშირის რაიკომში მდივნად. ის თან მუშაობდა, თან სწავლობდა. ვასაძეს ირჩევენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად სკოლების დარგში, შემდეგ ამავე კომიტეტში მეორე მდივნად, ხოლო 1958 წელს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

მომდევნო წლებში ნათელა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობს. ამ პერიოდში დაიცვა მან საკანდიდატო დისერტაცია. იგი მუშაობას იწყებს საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად. ირჩევენ პროფსაბჭოსთან არსებული ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ. ნათელა დიდ მზრუნველობას იჩენდა მუშა, კოლმეურნე ქალებისადმი, იღვწოდა მათი მუშაობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იყო ქალების ნამდვილი მეგობარი. და ამ საქმიანობას დღესაც დიდი სიყვარულით აგრძელებს.

აი ასეთი ცხოვრების დიდი გზის განვლით მოვიდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

სტუდენტების აკადემიური წარმატება, მაღალი ნიშნისათვის ბრძოლა რექტორატის პირველი რიგის ამოცანაა. რექტორს თათბირი ჰქონდა ფაკულტეტების დეკანებთან. ერთად განიხილეს სტუდენტთა განცხადებები სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. აქამდე ისე იყო, რომ სტიპენდია ენიშნებოდათ სტუდენტებს, მათი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით. ახლა კი გადაწყდა სტიპენდია დაენიშნოთ სტუდენტებს მათი აკადემიური წარმატების მიხედვით.

დღეს მთელი კავშირის მასშტაბით დგას საშუალო სტუდენტის პრობლემა. სამიანი დიპლომი უკვე ითვლება წუნდებულ პროდუქციად.

— ამიტომ, — გვეუბნება ნათელა, — ჩვენ საშუალო დიპლომის წინააღმდეგ უნდა ავიმაღლოთ ხმა. ამ საქმის გადაწყვეტაში ყველაზე რეალური ხელისჩასაკიდებელი არიან დღევანდელი პირველკურსელები, მათ უნდა განვუმარტოთ, რომ სტუდენტობის წლები არ არის დროსტარების ხანა. ისინი რასაც ამ წლებში ისწავლიან, რასაც დაეუფლებიან, ეს იქნება შემდგომი მათი ცხოვრების ბედის განმსაზღვრელი.

სრულყოფას მოითხოვს სასწავლო პროგრამები. უნდა გადავხედოთ სასწავლო პროცესს და დაგეგმარების ისეთ გადამწყვეტ რგოლს, როგორიც არის კათედრა. სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ბედ-იღბალი უნდა გადაწყდეს პროფესორ-მასწავლებელთა უშუალო მონაწილეობით.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ინსტიტუტს გააჩნია დღის, საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილებები. დღის განყოფილებაზე სწავლობს 1639. საღამოს — 2.032, ხოლო დაუსწრებელზე — 2483. სულ ინსტიტუტში სწავლობს 6.154 სტუდენტი. ყველაზე გადამწყვეტია ინსტიტუტის დაკომპლექტების საკითხი. დღის განყოფილებაზე უნდა ირიცხებოდეს ისეთი ახალგაზრდა, რომელიც ბუნებით მოწოდებულია გახდეს პედაგოგი.

რაც შეეხება საღამოს სწავლებას, აქ ბევრი რამ გაურკვეველი და შესაცვლელია. თბილისის სინამდვილისათვის, სადაც საერთოდ პედაგოგების სიჭარბეა, საღამოს სწავლება უკვე ზედმეტი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ რსფს რესპუბლიკის ყველა პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ბევრი სხვა მოძმე რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში საღამოს სწავლება აღარა აქვთ. დაუსწრებელ განყოფილებაზე კი იღებენ მხოლოდ სახალხო განათლების სისტემაში მომუშავე პირებს.

ჩვენთან საღამოს განყოფილებაზე მხოლოდ 16 პროცენტია განათლების დარგის მუშაკი, დანარჩენები კი, რომლებსაც სკოლასთან საერთო არაფერი აქვთ, ორი-სამი გაკვეთილის ნაცუბათევად მომზადებისა და ვადაცემების შემდეგ ინსტიტუტის დამთავრებისას იღებენ პედაგოგის დიპლომს, რაც, ვფიქრობ, სწორი არ არის.

როცა სწავლების გაუმჯობესებაზე გვაქვს ლაპარაკი, მაქსიმალურად უნდა გავაკეთოთ ისე, რომ შევუფარდოთ თანამედროვე მოთხოვნილებებს და მივღწევებს. ამ მიზნით შევქმენით სწავლების ტექნიკურ საშუალებათა კათედრა. შექმნის პროცესშია სკოლასთან კავშირის განმტკიცების ლაბორატორია, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორია. ვფიქრობთ განვაახლოთ და შევიმუშავოთ ინსტიტუტის მუშაობის ახალი წესდება. არასწორად მიგვაჩნია მისაღები გამოცდების პრაქტიკა. როცა ინსტიტუტში ივნისში მიმდინარეობს საკურსო და სახელმწიფო გამოცდები, ამავე დროს წარმოებს მისაღები გამოცდები საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე; რაც სწორი არ არის. ვფიქრობთ მისაღები გამოცდები გადავიტანოთ აგვისტოში.

...გაისმის ტელეფონის გაბმული ზარი. წყალტუბოდან რეკავდნენ. ნათელა ხომ წყალტუბოს რაიონიდან არის არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მას ამ დღეებში შეხვედრა ექნება თავის ამომრჩევლებთან. მალე ნათელა ვასაძემ, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ უნდა მოიწვიოს კომისიის სხდომა, სადაც განიხილავენ, თუ როგორ უწყობენ ხელს რესპუბლიკის საწარმოებში დაუსწრებელ განყოფილებებში ჩაბმულ ახალგაზრდებს. მარტო ამ საქმეს როდი უძღვება რექტორი ქალი. ის არის აგრეთვე ქალთა საკავშირო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ხშირად უხდება ქალთა მდგომარეობის გასაცნობად მოგზაურობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ნათელა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. ინსტიტუტში კითხულობს პედაგოგიკის კურსს, მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე.

ეს ყველაფერი, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ მისი საზოგადოებრივი საქმიანობაა. მთავარი და ყველაზე დიდი საზრუნავი კი შინა აქვს. ის ორი შვილის დედაა. უფროსი — მარინე თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ირინე კი მეათე კლასის მოსწავლეა. განა ცოტა ყურადღება სჭირდება შვილების დედას? მალე ბებიაც გახდება. კარგი მეუღლე, მეგობარი იყო — ეს ხომ კარგი ქალობაა.

ასეთია პირველი რექტორი ქალის, საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი დედის და მეუღლის ცხოვრების დიდი გზა.

**ლარისა ხუბულური.**



**მ**ეცხრე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი შეჯიბრების ავანგარდშია ცნობილი მრთველი, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" სართავი საამქროს ქვეოსტატი, იური გაგარინის სახელობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილი. სურათზე: ვერა ქემაშვილი თავის ბრიგადის წევრებთან.

ა. საპკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ციფრების ენით

☐ **საბჭოთა** კავშირში 16-დან 54 წლის ასაკის ყოველი 100 ქალიდან დაახლოებით 80 ან მუშაობს, ან სწავლობს.

☐ **1971-1972 სასწავლო** წელს დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელი ქალი იყო 1683 ათასი, ანუ მასწავლებელთა საერთო რიცხვის 71 პროცენტი.

☐ **ამჟამად** სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვიდან 51 პროცენტს შეადგენენ ქალები, ხოლო ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და გასაღებაში — 77 პროცენტს; საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში — 54 პროცენტს.

☐ **თითქმის 500 ქალი** მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატია.

☐ **საყოველთაო-სახალხო** პატივით სარგებლობს სსრ კავშირში დედა. 1944 წლის ივლისიდან დღემდე 150 ათასზე მეტ ქალს მიენიჭა „გმირი დედის" საპატიო წოდება, ხოლო სამ მილიონზე მეტი მრავალშვილიანი ქალი დაჯილდოებულია პირველი, მეორე და მესამე ხარისხის „სახელოვანი დედის" ორდენებით.

☐ 1972 წელს 9 მილიონზე მეტი ბავშვი იყო მუდმივ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში. გარდა ამისა, ზაფხულის პერიოდში იქმნება ხოლმე სეზონური სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებანი და ბავშვთა მოედნები. 1972 წელს იქ იყო დაახლოებით 5 მილიონი ბავშვი.

## დედაო, ტკბილო!

ქართველო ქალო, სინდის-ნამუსო,
დედაო, მარად დასაფიცარო,
მინდა ვარდებით კალთა აგივსო
და გაუხუნარ სიბრძნედ გიწამო.

ყველა ვაჟკაცის ფიქრში ნათალო,
დედავ, სატრფოვ და იმედო დაო,
ქალო ალალო, ქალო მართალო,
გაზაფხულის და სიცოცხლის დარო.

დღეს შენს სიმაღლეს ვერვინ შელახავს,
ქვეყნად ვერავინ ვერ გნახავს უძლურს,
შენ განა ერთი შვილის დედა ხარ,
თვითონ სიცოცხლეს აწოვებ ძუძუს.

შენი მანდილი ანათებს დროშამს,
ცისკრის ფერებთან ერთად კაშკაშებს.
რაიხსტაგზე რომ აღმართეს დროშა, —
შენ შეაშველე ხელი ვაჟკაცებს.

მტერთან ბრძოლაში დაცემულ მხედართ
ცრემლი დიდებად გაუნაწილე.
შენ შეეგებე პირველად, დედა,
შინ დაბრუნებულ დაღლილ არწივებს.

ახლაც მადლიან ნანას იმღერი
და ჰორიზონტზე გიდგას აკვანი.
შენი ლეჩაქი არის მზისფერი
და გული შენი არის ლამპარი.

და ისმის შენი სულის ღაღადი
როგორც ნუგეში, როგორც გალობა,
დასაფიცარი იყოს მარადის
შენი გული და კაიქალობა!

**ლილი ნუცუბიძე.**

ქ. ქუთაისი.

## თავგადასავალი ფრონტელი ქალისა

### ნებისყოფა იმარჯვებს

**ბ**უბული მანტკავა მოგვითხრობს: 1941 წლის 23 ივნისს წითელ არმიაში გამიწვიეს მე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. გამოვცხადდი დანიშნულებისამებრ მოქმედი არმიის მე-17 ცხენოსან დივიზიაში მედიცინის სამსახურის უფროსი ლეიტენანტის წოდებით. გამანაწილეს სამედიცინო სანიტარულ ესკადრონში დაჭრილთა მიმღებ-დამხარისხებელ ასეულში. აგვისტოში უკვე 224-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში ვიყავი, ხოლო 25 დეკემბრისათვის დივიზიამ კურსი აიღო ქერჩისაკენ... გემებით ყირიმის ნაპირს მივუახლოვდით. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. ყველაფერი გადავზიდეთ ზღვის ნაპირას განლაგებულ გამოქვაბულებში, სწრაფად ჩამოყალიბდა სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი.



მტერი არ ისვენებდა. ბრძოლები გრძელდებოდა. ცეცხლში გვიხდებოდა დაჭრილთა შეყვანა გამოქვაბულებში, დახმარების აღმოჩენა და ზურგში გაგზავნა... ჩვენი დივიზია მძიმე ბრძოლებით იხევდა უკან. ცხრა მაისს დივიზიის დიდი ნაწილი მტრის გარემოცვაში მოჰყვა. ავიაცია, ტანკები, არტილერია — ყველაფერი ცეცხლს გვიშენდა. აზოვის ზღვის ნაპირზე მრისხანე გამოდგა ხელჩართული ბრძოლები. მეც დავიჭერი, წინსვლის საშუალება არ მქონდა... დაიწყო ტყვეობის მძიმე დღეები.

პირველად ფეოდოსიის ტყვეთა ბანაკში მიგვიყვანეს, აქედან კი სლავუტის 301-ე ტყვეთა ბანაკში გვიკრეს თავი. აქ დღითა და ღამით ისმოდა მომაკვდავ ტყვეთა კვნესა. სლავუტის ტყვეთა ბანაკში ოთხი თვე გავატარე, იმის ფიქრში ვიყავი, როგორმე დავკავშირებოდი პარტიზანებს. შევიტყვე, რომ უკრაინელი ექიმი კაზეიჩუკი იყო სლავუტის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე, პარტიზანული შენაერთის იატაკქვეშა მომუშავე, იგი მოხერხებულად ატყუებდა ფაშისტებს.

1942 წლის სექტემბრიდან მუშაობა მომიწია გზის შეკეთებაზე სლავუტის ბანაკიდან სამი კილომეტრის დაშორებით. დილის რვა საათზე გავყავდით სამუშაოდ და ბანაკში საღამოს გვაბრუნებდნენ. ერთხელ, გვიან ღამით რომ ვბრუნდებოდით ბანაკში, სლავუტის წიწვიან ტყესთან წავიქეცი და გავინაბე. ტყვეთა კოლონამ ისე ჩამიარა, რომ მცველებმა ვერ შემამჩნიეს. მუცელზე ხოხვით ტყეში შევედი, ვეძებდი პარტიზანთა კვალს. აი სამი ბილიკი ერთმანეთს კვეთს. გავიარე 400-დე მეტრი, უკვე დღე იყო. დავინახე ქალი, რომელსაც ფიჩხის კონა მიჰქონდა. ჩვენ ერთმანეთს გამოველაპარაკეთ.

— მე სლავუტელი ვარ, ამადამ ჩემთან წამოდი, რაკი ტყვეობას თავი დააღწიე, უნდა იცოცხლო! — მითხრა მან. მე ვიგრძენი, რომ ის არ გამცემდა. წავყევი. ეს იყო სოფიო ალექსანდრეს ასული ვასილევსკაია. მისი მამა სლავუტის საავადმყოფოს დარაჯი იყო. მამაშვილი ანტიფაშისტური იატაკქვეშეთის წევრები იყვნენ. მათ ათი დღე შემინახეს, დამაკავშირეს ექიმ პარტიზან კაზეიჩუკს, რომელმაც პარტიზანულ შენაერთში მიმიყვანა. კაზეიჩუკმა სოფელ ცვეტოხაში გახსნა სამედიცინო პუნქტი, სადაც მე გამამწესა ექიმად. აქ შევხვდი ერთ-ერთი პარტიზანული შენაერთის პირველი ბატალიონის უფროსს ცალ-სალიმოვს, რომლის წინაშე დავდე პარტიზანული ფიცი.

შემდეგ ცალ-სალიმოვმა წამიყვანა უღრან ტყეში, სადაც შემახვედრა პარტიზანული შენაერთის უფროსს რეზნიკოვს და მის მოადგილეს პოდპოლკოვნიკ ბუინოვს. აქ ხელი მოვაწერე ორ დოკუმენტს: ერთი იყო ფიცი ერთგულებისა, ხოლო მეორე ბრძანება, რომელშიც ჩამოთვლილი იყო, თუ რა უნდა მეკეთებინა.

გავიდა ერთი კვირა, მე მოვახერხე ცვეტოხის გერმანელი შეფის გულის მონადირება (ავად რომ გახდა, ვუმკურნალე). შემდეგ მას ვთხოვე მოეცა საშვი, რითაც შემეძლო მევლო ტყეში, მინდვრებში და წამლების დასამზადებლად ბალახი შემეგროვებინა. მართლაც მივიღე საშვი. მე დავდიოდი ტყეში, რკინიგზის პირებზე, სადისპეტჩეროში, ვათვალიერებდი ტყვიაწამლის საწყობებს, იარაღს, სასურსათო საწყობების განლაგებას, ვხვდებოდი ჩვენთვის საჭირო პირებს, ვკრებდი საიდუმლო ცნობებს და მასალებს მიღებული დავალების შესრულების მიზნით.

უკან დაბრუნებისას კალათას ავავსებდი საჭირო და არასაჭირო ბალახებით და მომქონდა სამედიცინო პუნქტში.

მეტად აქტიურად მუშაობდნენ პარტიზანები ანტონ როსტარჩუკი, რამაზ გვენეტაძე, მიხეილ მესხი, ნიკოლოზ ბონდარჩუკი, ექიმი კაზეიჩუკი, სოფიო ვასილევსკაია, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ბანაკის რუმინელ მცველებთან, გამოჰქონდათ საწყობებიდან იარაღი, მედიკამენტები, ტყვია-წამალი, რითაც მეთევზეთა საშუალებით ესტაფეტური წესით ვამარაგებდით პარტიზანულ შენაერთს. შემდეგ საბჭოთა პარტიზანები აფეთქებდნენ ხიდებს, რკინიგზებზე მიმავალ ეშელონებს, საბრძოლო და სასურსათო საწყობებს. ეს იყო ოკუპანტებისადმი შურისძიება, საბჭოთა ადამიანების რისხვის გამოხატულება. მაგრამ არც ჰიტლერელებს ეძინათ. მათ ცვეტოხაში დააპატიმრეს ყველა საეჭვო პირი და ყოფილი ტყვე. შეწყდა კავშირი სლავუტაში სოფიო ვასილევსკაიასთან. მეც დამაპატიმრეს და ჩამსვეს სლავუტის ციხეში, საიდანაც გამგზავნეს როვნოს საკონცენტრაციო ბანაკში. აქ ოცი დღე დავყავი.

ბანაკში იფეთქა ხოლერის ინფექციამ. იხოცებოდნენ ტყვეები, მათი მომვლელები, პოლიციელები. ინფექციის მოსპობის მიზნით ჰიტლერელებმა ბანაკს ცეცხლი წაუკიდეს. დაიწვა ყველა ავადმყოფი და მათი მომვლელები, ცეცხლი მოედო იქვე მდებარე საერთო ბარაკებს. ვისაც გაქცევა შეეძლო, ისინი მცველებმა ვეღარ შეაკავეს, ზოგი საით გაიქცა და ზოგი საით. მეც გავიქეცი...

ბევრი წვალების, ტყე-ღრეში ხეტიალის შემდეგ მივაღწიე ჩემს სოფელს ცვეტოხაში. შევხსენი სამედიცინო პუნქტის კარები, მოვიდნენ ჩემი ნაცნობი ცვეტოხელები. მალე ანტონ რუშტაჩუკიც მოვიდა და ორივენი ხელახლა შევუდექით პარტიზანული მოვალეობის შესრულებას, მაგრამ ბევრად უფრო დამაბულ პირობებში.

1944 წლის იანვარში ჩვენი პარტიზანული შენაერთი შეუერთდა საბჭოთა არმიას, ბრძოლებით გავათავისუფლეთ კამენეც-პოდოლსკის ოლქი, მრავალი დასახლებული პუნქტი, შეპეტოვის და სლავუტის რაიონები. მე მოვხვდი პირველ უკრაინის ფრონტის მეექვსე არმიის 190-ე დივიზიის მოტომექანიზებულ შენაერთში, სადაც დამნიშნეს სამედიცინო-სანიტარული ნაწილის უფროსად. აქ სანიტრებად იყვნენ გიორგი საყვარელიძე და არტემ გოზალოვი, სანინსტრუქტორად უკრაინელი კრიმენჩუკი.

ომი დამთავრდა. მტერს ბოლო მოეღო მისსავე ბუნაგში. მე სამუშაოდ გადაველი ლვოვის საქალაქო საავადმყოფოში. მალე სწავლა დავიწყე ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტში, საიდანაც 1946 წელს გადმოვირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1949 წელს დავამთავრე. ამჟამად ვარ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი — ექიმი მიკოლოგი.

იმ ქარცეცხლიან დღეთა მოსაგონებლად ბევრი რამ შემორჩა ჩემს მეხსიერებას. გარდა ამისა, ბრძოლებს მახსენებს აგრეთვე ჯილდოები: წითელი დროშის ორდენი, მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენი, საბრძოლო და შრომითი მედლები, საბჭოთა კავშირის სამამულო დიდი ომის ვეტერანთა საპატიო სიგელი.

იმ ბრძოლებს მახსენებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიაც ნათქვამია:

„ეს ცნობა-დახასიათება ეძლევა ბუბული სოლომონის ასულ მანტკავას, დაბადებულს 1910 წელს, ეროვნებით ქართველს, რომ მას ნამდვილად ჰქონდა კავშირი პოდპოლკოვნიკ ბუინოვის პარტიზანული შენაერთის პირველ ბატალიონთან, რომელიც მუშაობდა იატაკქვეშეთში, შოულობდა ბატალიონისათვის საბრძოლო იარაღს, მედიკამენტებს, სამედიცინო ინსტრუმენტებს, აგროვებდა ცნობებს, რომლებიც აუცილებელი იყო პარტიზანული ბრძოლებისათვის. იგი ბინაზე იღებდა ბრძოლაში დაჭრილ პარტიზანებს, მათი ოჯახის წევრებს, უწევდა აუცილებელ სამედიცინო და მატერიალურ დახმარებას. ამხ. მანტკავა პირნათლად და პატიოსნად ასრულებდა საბრძოლო და სამედიცინო დავალებებს. პირველი ბატალიონის მეთაური ლეიტენანტი სალიმოვი, შტაბის უფროსი ლვოვი. 1944 წლის 4 მარტი, № 83".

ასეთია ექიმი ქალის საბრძოლო და შრომითი ცხოვრების გზა. იგი ახლაც აქტიურად დგას სიცოცხლის სადარაჯოზე.

საუბარი ჩაწერა

**ს. ყურაშვილმა.**

## ნურასდროს დახრილან...

იებით სურნელით
აივსო გულები,
ოცნება ულევი...
მიზანი ულევი...
შევაღეთ ცისკარი
და მივწვდით მიუწვდომს...
სიხარულს, სიყვარულს
ვით ექნეს საზღვარი...
აგვიხდა ზღაპარი,
აინთო ლამპარი პლანეტის
გარშემო...
ვაშენოთ, ვამშვენოთ
ქვეყანა დიადი,
სამშობლო ნექტარი.
სიცოცხლის ნექტარი
სულებში ჩაღვრილა...
ნურასდროს დახრილან
მშვიდობის დროშები,
ნურასდროს დახრილან...
ნურც ცრემლი დაღვრილა...
გათენდა...
ლურჯ ცისეთ ნარგიზის
რტოებით
ქარგავენ მტრედები,
და ვდგავართ ამაყად
მშვიდობის დამცველნი,
საბჭოთა დედები.
გვწამს, მოძმეს მეგობარს,
თუ ნათელ მომავალს
მთვარეზე შევხვდებით...
ჩვენ ვძლიეთ ყოველი,
კვლავ ლხენით მოველით
შენს ყოველ განთიადს,
გარეთ მზე ანთია...
მარტია...
იებით აივსო გულები.
სიცოცხლე ულევი...
ხალისი ულევი...
დღეს ახდა ზღაპარში
თუ რამ გვინატრია...
ჩვენც შენი ზრუნვით
თვალგაბრწყინებულნი
ვაშენებთ კომუნიზმს,
მშობელო პარტიავ...

**ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე.**

ქ. სოხუმი.

## მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა

ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა მხატვარ ქალთა ნამუშევრების ტრადიციული საგაზაფხულო გამოფენა, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს ეძღვნება. გამოფენა ახარებს დამთვალიერებლებს ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. აქ წარმოდგენილია ფერწერული ტილოები, აკვარელები, გრაფიკული ნახატები, ქანდაკება, კერამიკა, ხის მოჩუქურთმებისა და ჭედურობის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. (საქინფორმი).

## კეთილი საქმე

**ა**თიოდე წლის წინათ პარტიის თელავის რაიკომის მაშინდელმა მდივანმა დარეჯან ბოჭორიძემ თელავის მასწავლებლის სახლთან შექმნა დიასახლისის კულტურის ორწლიანი უნივერსიტეტი და ხელმძღვანელობაც თვითონვე იკისრა.

— ვადიდოთ დედა ქართლისა, დედა დამრწევი აკვნისა, დედა სიცოცხლის წყარო — ასეთი იყო დევიზი უნივერსიტეტის დაარსებისა. რას გულისხმობდა პრაქტიკული მეცადინეობა? ცოდნის მიღებას კულინარიაში, კოსმეტიკაში, კერვა-ქარგვაში, სუფრის გაწყობაში, ოთახის დასუფთავებასა და ავეჯის გემოვნებით განლაგებაში და ა. შ. აქ ასამდე დიასახლისი ქალი იმაღლებდა ცოდნას.

დარეჯან ბოჭორიძე ამჟამად თელავის პირველი საშუალო სკოლის დირექტორია. სიმპათიური, კარგი მოსაუბრე მანდილოსანია. 1962 წელს დარეჯანის თაოსნობით რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. თელავის თეატრის შენობაში გაიმართა საუბრები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის „ქალი — დედა და აღმზრდელი", „კანონი ქალის უფლებათა სადარაჯოზე", „კარგი შვილი დედის გულის ვარდია"... „ბრძოლა ლოთობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ"...

ასე ჩაეყარა საფუძველი თელავის ქალთა რაიონულ საბჭოს, რომლის ღონისძიებებზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს.

თელაველებს დიდხანს ეხსომებათ ქალთა რაიონული საბჭოს მიერ გამართული შეკრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელოვანი ქალები: მეცნიერები, დეპუტატები, მრავალშვილიანი დედები, სამამულო ომში დაღუპულთა დედები, მოწინავენი.. ასეთი შეკრებები ბევრჯერ მოეწყო.

გასულ წელს ქალთა საბჭოს ინიციატივით დიდი ღონისძიება განხორციელდა და შემოწმდა თუ რაიონიდან წასული ახალგაზრდები როგორ სწავლობენ, როგორია მათი ყოფაქცევა, საქმიანობა.

ქალთა საბჭოს წევრები თამარ ჭერაშვილი, მერი ტუსიშვილი, ქეთო ხმიადაშვილი, ნუნუ კუხიანიძე, მართა კველიშვილი, ექიმები ქეთო ქავთარაძე, მარგო პოპოვა, ზაირა პაატაშვილი, ელიკო აფციაური, მაყვალა კაპანაძე, მსახიობი თინა ბურბუთაშვილი დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ საბჭოში, ერთგულად ეხმარებიან და მხარში უდგანან მის ხელმძღვანელს.

თელაველ მწყემსებს არ დაავიწყდებათ ამ მოუსვენარ ქალთა სტუმრობა შირაქის შორეულ მინდვრებში. ქალებმა თან წაიღეს მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები და მოულოდნელი სტუმრობით გაახარეს სახელმწიფო დოვლათის დარაჯნი.

დარეჯან ბოჭორიძე ოღროჩოღრო, ვიწრო დაღმართზე მიგვიძღვის. ორსართულიან ძველ ბინასთან შეჩერდა. პატარა ხის კარი შეაღო, და ცემენტის ვიწრო კიბეებით ძველებურ დერეფანში ავედით, ძაძებში გახვეული, ჭაღარათმიანი მოხუცი საწოლზე მიწოლილა. ჩვენს სალამზე წამოიწია და შეგვეკითხა:

— ვინ ბრძანდებით, შვილო, დარეჯანმა ხომ არ გამოგგზავნათ?

— მე ვარ, პელო ძალო, — გაეხმაურა დარეჯანი.

— უი, შენა ხარ? შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო პატარა ღმერთო, ჩემო სულის ჩამდგმელო, რატო ვერა ვხედავ, რომ შენი თავი კარგად დამენახა... — მოხუცმა ხელები გაშალა, დარეჯანი გულში ჩაიკრა და დანაოჭებულ სახეზე ცრემლები ჩამოუცვივდა.

პელაგია პაპუაშვილს გულის ტკივილი მივაყენეთ, მაგრამ თავის შვილებზე მაინც გვესაუბრება.

— რვა შვილის დედა ვიყავი, შვილო, ხუთი ვაჟკაცი მყავდა: გიორგი, შალვა, სოსო, ვახტანგი და ვანო. 1929 წელს დამეღუპა ქმარი. ქვრივოხრობით დავზარდე, მაგრამ ყველას მაინც ვასწავლე. გიორგი ზოოტექნიკოსი იყო, აგრემაც იმას მოუკვდეს დედა, მხარში ის ამომიდგა და შვილები დამაზრდევინა. შალვა — აგრონომი, სოსო — მუსიკალური სკოლის მეოთხე კურსის სტუდენტი. ომი რომ დაიწყო და იმ დღესვე დავშორდით ერთმანეთს, ვახტანგი 17 წლისა იყო, საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ატესტატი მომირბენინა, ჩამაბარა და თან დამარიგა, დედი, კარგა შემინახე, რომ ჩამოვალ, დამჭირდებაო. ოთხი ვაჟკაცი აღარ დამიბრუნდა. ასე მომიძულა ღმერთმა, მაგრამ ჩემმა შვილებმა ათასეული ბავშვის აკვნები დაიცვეს...

**ს**ოფელ ბუშეტში მოვინახულეთ ღუდუშიძეების ბინა. ტკბილი და მშრომელი ოჯახი ჰქონდათ ბესო და სოფიო ღუდუშიძეებს. ექვსი ვაჟკაცი გაზარდეს: ვახტანგი, შალვა, საშა, პავლე მიშა და შოთა. როდესაც სამამულო ომი დაიწყო, მხოლოდ შალვას ჰყავდა ორი თვის ჯვარდაწერილი ცოლი, დანარჩენები გულის სწორებს ეძებდნენ, მაგრამ ექვსივე ძმა ერთად გააცილეს მშობლებმა, გააცილეს და აღარც დაბრუნებულან. დარჩა მარტოდმარტო შალვას მეუღლე ზაბულია, რომლის ჯოჯონა ეთერი ექვსი ძმის ფუძეზე დანატოვარი ყლორტია. ქვრივმა ქალმა ვეღარ შეძლო ბინის განახლება, მაგრამ რაისაბჭოს აღმასკომმა შეუკეთა ბინა, შინმოუსვლელთა პარკში ცალკე გამოჰყვეს ღუდუშიძეების სახელობის ბაღი და 8 ვაშლის ხე დარგეს მათ უკვდავსაყოფად.

აღმასკომის მილიციის ოთახთან მუდმივი კავშირი აქვთ ამ მოუსვენარ ქალებს. ქუჩებში ბავშვთა მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით ავტობუსების გაჩერებებზე მშობელთა სპეციალური მორიგეობა დააწესეს. ქალთა საბჭოს წევრებს მუდმივი კავშირი აქვთ ბავშვთა ოთახის გამგეებთან და ინსპექტორებთან, რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა კომისიასთან, ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობ საბჭოსთან. ქალთა საბჭოს ინიციატივით დაირგო 40 ათასი ძირი ხე, ნაფარეულში და რუისპირში ტყეპარკი გაშენდა, ხეთა ძირები შინმოუსვლელთა გვარებით აივსო.

**დოდო ზურაბიშვილი.**

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 8 მარტი, 1973 წ.

## გაზაფხულის მოსვლა საავადმყოფოში

შემომიგზავნეს კონა იების
და გაზაფხულმა ამანთო სულ მთლად...
მე სარკმელამდე ძლივსღა მივედი
და მიწის სუნმა შემიკრა სუნთქვა.
გაზაფხულს რაღაც შენგანაც მიაქვს
და რჩები თითქოს გულდაწყვეტილი,
მაგრამ პატარა მოლურჯო იას,
გული ჰქონია ისე კეთილი,
რომ შენ მოგხედავს, შენც გაგამხნევებს,
შემოგიზიდავს მინდვრებს და ხევებს
მოგრთავს, აგანთებს საგაზაფხულოდ.

ნიკოლოზ ჩაჩავა.

## მოგილოცავთ...

მომწვანობს და...
მოლორთქოობს
მოლი — მიწის ღიმილობა;
მოგილოცავთ, ღელეებო,
ღიღილობას,
გვირილობას...
მოგილოცავ, მიწავ, პირის
გაზაფხულის წვიმით ბანას.
იობას და
ენძელობას,
კვირტობას და
ფოთლობანას,
ლერწმობას და
ბუდეების
შენებას და...
ბარტყობანას;
ახალ-ახალ მტრედობანას,
ახალ-ახალ მერცხლობანას...
ახალ ცისარტყელობანას,
ახალ ვარდ-ყვავილობანას!
გაზაფხულო! შენი ცვარი
ვერცხლის წვეთად ეცნოს ბალახს!
მომწვანობს და...
მოლორთქოობს
მოლი — მიწის ღიმილობა.
მოგილოცავთ, ღელეებო,
ღიღილობას,
გვირილობას!

ლიდა სტვილია.

## ჩვენი ქალები



## ბედნიერება





სადაც უნდა მუშაობდნენ საბჭოთა ქალები, ქარხნის საამქროებსა თუ სკოლებში, კოლმეურნეობებში, საავადმყოფოებში თუ სამეცნიერო ლაბორატორიებში, ყველგან გვიჩვენებენ სანიმუშო შრომის, მაღალი პროფესიული ოსტატობის, საქმის სიყვარულის მაგალითებს.

სურათებზე: ზემოთ — თბილისის № 3 სამშობიარო სახლის ახალშობილთა განყოფილების მუშაკთა ჯგუფი. ექთანები (მარჯვნიდან) მზია გურაშვილი, ნელი ფირანიშვილი, ჟუჟუნა აბულაშვილი, ელენე დუნდუა, ფისო კორკოტაშვილი და ჟუჟუნა ჭუჭულაშვილი.

30 წელია მუშაობს განათლების დარგში თბილისის № 60 საშუალო სკოლის მასწავლებელი თამარ მანჯგალაძე (სურათზე მარჯვნივ).

სურათზე მარცხნივ — საქართველოს ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომელი ირინე ჭიჭინაძე, პატარა გიორგისთან ერთად, რომელმაც მას ყვავილები მიართვა.

ხ. კილაძის ფოტო.

## მეგობრობის დასტური

### ოლგა რომანჩენკო — ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი

მოსკოვში საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ 1971 წელს გამოსცა რუსი მწერლის ოლგა ივანეს ასული რომანჩენკოს წიგნი „მომავლის გვერდით“. წიგნი მიძღვნილია ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

მიზნებულად შეურჩევია ავტორს წიგნის სათაურიც „მომავლის გვერდით“, რაც გოგებაშვილის მემკვიდრეობის მარადიულობაზე მიგვანიშნებს, მისი მოძღვრების აქტუალურობას ადასტურებს გოგებაშვილმა ხომ მთელი თავისი უმწიკვლო ცხოვრება ქვეყნის მომავლის — ბავშვთა აღზრდის საკაცობრიო საქმის სამსხვერპლოზე მიიტანა.

ყოველი მკითხველი დიდი ინტერესით და სიყვარულით წაიკითხავს ამ საინტერესოდ, თბილად, გულწრფელად, საქმის სიყვარულითა და ღრმა ცოდნით დაწერილ წიგნს. წიგნის ყოველ გვერდზე იგრძნობა ავტორის სიყვარული და პატივისცემა ქართველი ხალხისადმი, ერის საუნჯისადმი, საქართველოს ბუნებისადმი. ქართველ მკითხველს უეჭველად გააკვირვებს ავტორის მიერ იმ დიდი ფაქტობრივი მასალის ცოდნა, რაც ჩვენი ერის წარსულს ეხება და რაც ასე უხვად არის გაბნეული წიგნში. იგი იცნობს „ქართლის ცხოვრებასაც“.

ოლგა რომანჩენკოს საკმაოდ კარგად შეუსწავლია ქართული ენა (წერს, კითხულობს ქართულად). გასცნობია ქართულ ლიტერატურას, იცნობს ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს. წიგნში მოყვანილი აქვს ფაქტები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ცხვედაძის, ნიკო ლომოურის, ნიკო ნიკოლაძის, ეგნატე ნინოშვილის, გერასიმე ქიქოძის და სხვათა შესახებ.

ავტორს გულდასმით შეუსწავლია სახელოვანი პედაგოგის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები. ამას გარდა წიგნში ბუნებრივად, მხატვრულად აღწერს გოგებაშვილის მშობლიურ სოფელს ვარიანსა და სახლ-მუზეუმს.

წიგნში „მომავლის გვერდით“ ავტორი საქმის ღრმა ცოდნით და დიდი სიყვარულით აშუქებს ქართული პედაგოგიური აზროვნების ფუძემდებლის, დიდი მამულიშვილისა და სახელოვანი მოქალაქის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. საფუძვლიანად შეუსწავლია ფაქტობრივი მასალები, გასცნობია იმ პერიოდის მოღვაწეების საქმიანობას და მეტად საინტერესოდ გადმოგვცემს მას მხატვრულ ფორმებში. წიგნში აღწერილია აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის ბრძოლა ილიასა და აკაკისთან ერთად ცარიზმის თვითმპყრობელურ რეაქციის პერიოდში მშობლიური ენის ღირსების დასაცავად. ავტორი დამაჯერებლად წარმოგვიდგენს ი. გოგებაშვილს, როგორც დიდ პედაგოგს, ბავშვთა სულიერი სამყაროს მცოდნეს, ქართული პედაგოგიური აზროვნების მამამთავარს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ოლგა რომანჩენკომ ჯერ კიდევ ადრე თარგმნა გოგებაშვილის პატარა მოთხრობები და გამოაქვეყნა კიევის საბავშვო ჟურნალ „პიონერიაში“. ოლგა რომანჩენკოს კალამს ეკუთვნის აგრეთვე ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად თბილად დაწერილი წიგნი „ვლასტიტელ სინოდალა“, რომელიც ორჯერ გამოიცა.

ოლგა რომანჩენკოს წიგნი „მომავლის გვერდით“ კიდევ ერთი ახალი საფეხურია მეგობრობის იმ დიდ ხიდზე, რომელიც ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გაიდო რუსი და ქართველი ხალხების კულტურულ ურთიერთობაში და რომლის საფუძველთან იდგნენ პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, გორკი...

შემთხვევა მქონდა გავეცნო ამ წიგნის ავტორი — მორიდებული და მოკრძალებული, უპრეტენზიო მანდილოსანი — ოლგა რომანჩენკო. იგი ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ვ. გოგოლაძე) მოიწვია თბილისში ამ წიგნის საჯარო განხილვაზე, ოლგა რომანჩენკოს სახით ჩვენ გულწრფელი მეგობარი გვყავს.

საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 12 თებერვლის სხდომაზე სავსებით დამსახურებულად მიანიჭა ოლგა რომანჩენკოს წიგნს „მომავლის გვერდით“ ი. გოგებაშვილის სახელობის პრემია.

გვინდა ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ ნიჭიერ მწერალს, ოლგა რომანჩენკოს კიდევ მრავალი ასეთი წვლილი შეეტანოს რუს და ქართველ ხალხთა ურღვევი მეგობრობის დიდ საქმეში.

მარიამ ბურჭულაძე,
საქართველოს სსრ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

## ორი მეოთხედფინალური

### კიევის „დინამო“-მადრიდის „რეალი“ — 0:0; მოსკოვის „სპარტაკი“-იტალიის „მილანი“ — 0:1.

გუშინ კიეველები ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ოდესაში შეხვდნენ ესპანეთის გუნდს — მადრიდის „რეალს“, ხოლო სპარტაკელები — სოჭში თასის მფლობელთა თასის ამავე ეტაპზე — იტალიის „მილანს“.

სპარტაკელები ინგლისელი მსაჯის ტეილორის სასტვენის ხმაზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: პროხოროვი, ლოგოფეტი, ოლშანსკი, აბრამოვი, ლოვჩევი, ბულგაკოვი, კოკორევი, მინაევი, პისკარიოვი, ჰუსაინოვი (შემდეგ იგი მირზოევმა შეცვალა) და რედინი. სტუმრებმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: ბელი, ანკილეტი, დოლჩი, საბადინი, შნელინგერი, ბიესიოლო, სოლიანო, ბენეტი, ბიგონი, რივერა, კიარუჯი (გოლი).

ორივე ტაიმის განმავლობაში მასპინძლებს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ სტუმრების დაცვა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მცველის — გერმანელი შნელინგერის მეთაურობით უშეცდომოდ იგერიებდა შეტევებს. მწვავე ხასიათი ჰქონდა მილანელთა კონტრიერიშებს და აი მეორე ტაიმის მე-18 წუთზე მას შედეგიც მოჰყვა: ზედა ძელიდან ასხლეტილ ბურთს დაეუფლა ბენეტი და ორიოდე მეტრიდან გაიტანა პირველი და ერთად-ერთი ბურთი, ამრიგად, გაიმარჯვა „მილანმა“ 1:0. „სპარტაკს“ 21 მარტს ფრიად რთული ამოცანის გადაწყვეტა მოუხდება მილანის სტადიონზე.

მატჩი ოდესაში კიევის „დინამოსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის დამთავრდა ფრედ 0:0. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი მადრიდში გაიმართება 21 მარტს.

## ტურნეზე — ამერიკაში

### რუსუდან სიხარულიძე — ნაკრებში

გუშინ მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდი, რომელიც ოკეანეს გაღმა, შვიდ ქალაქში გამართავს საჩვენებელ გამოსვლებს.

ამერიკაში გაემგზავრნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ლიუდმილა ტურიშჩევა, ოლიმპიური ჩემპიონი ოლღა კორბუტი, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი თამარ ლაზაკოვიჩი, გუნდური ოლიმპიური ჩემპიონი ანტონინა კოშელი, სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები — რუსუდან სიხარულიძე და ლიუბოვ ბოგდანოვა.

## საჭადრაკო მერიდიანებზე

ტალინი. საერთაშორისო ტურნირზე დამთავრდა 10 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. სპასკიმ ვერ გამოიყენა უპირატესობა საერთაშორისო ოსტატ პოპოვთან (ბულგარეთი) და ყაიმს დასჯერდა. ორ პარტიას ამთავრებდა პოლუგაევსკი. მან მოუგო კერესს და იხსნა მძიმე მდგომარეობაში გადადებული პარტია რიტოვთან. ამ მოულოდნელი ყაიმით პოლუგაევსკიმ საგრძნობლად განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა.

10 ტურის შემდეგ 8,5 ქულით პირველ ადგილზეა ტალი. 7-7 ქულა აქვთ სპასკისა და პოლუგაევსკის, 6 ქულა — ბრონშტეინს, 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია — ნეის. თუ ნეი ამ გადადებულ პარტიას მოიგებს ამერიკელ საერთაშორისო ოსტატ სეიდისთან, გროსმაისტერის ნორმის (9 ქულა) შესრულების კარგი შესაძლებლობა ექნება.

ბელგრადი. დაიწყო 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. 12 მონაწილეს შორის არიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შული და საერთაშორისო ოსტატი კოზლოვსკაია. პირველ ტურში შულ-მილივოევიჩისა (იუგოსლავია) და კოზლოვსკაია-კალხბრენერის (იუგოსლავია) პარტიები გადაიდო.

ლენინგრადი. დამთავრდა ლენინგრადის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის მომავალი მონაწილეები, გროსმაისტერები კორჩნოი და ტაიმანოვი.

ჩემპიონის წოდება ტაიმანოვმა მოიპოვა, კორჩნოი კი წარუმატებლად გამოვიდა — ცხრილის შუაგულში აღმოჩნდა.

თბილისი. აპრილში იწყება ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ჩემპიონი გაფრინდაშვილი, საერთაშორისო ოსტატი ალექსანდრია, ცნობილი მოჭადრაკეები საბჭოთა კავშირიდან და საზღვარგარეთიდან. ამ ტურნირის 3 მონაწილე უნდა გამოავლინოს თბილისის ჩემპიონატმა, რომელიც ახლა მიმდინარეობს ცენტრალურ რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში. ტურნირის შესარჩევმა ხასიათმა განაპირობა მისი მეტად ძლიერი შემადგენლობა.

## რამდენიმე სტრიქონით

აშხაბადი. დამთავრდა ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. პირველი-მეორე ადგილისათვის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის პირველი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. ანგარიში მე-18 წუთზე სტუმრებმა გახსნეს. მასპინძლებმა მხოლოდ 65-ე წუთზე გაათანაბრეს ანგარიში. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 1:1. დამატებით დროში ულამაზესი გოლი გაიტანა კლიმოვიჩმა და საბჭოთა გუნდს გამარჯვება მოუტანა — 2:1. მესამე მეოთხე ადგილის ბედი თურქმენეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩში გადაწყვიტა 11-მეტრიანთა სერიამ. სტუმრები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ — 4:2 და მესამე ადგილი მოიპოვეს. მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ რუმინელები (დაამარცხეს სსრ კავშირი-II — 2:0), ხოლო მეშვიდეზე — შვედები (მოუგეს საქართველოს გუნდს — 1:0).

ლენინგრადი. ფინიში აქვს ევროპის ლიგის 1972-1973 წლების პირველობას მაგიდის ჩოგბურთში. სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი 4:3 და 5 შესაძლებლიდან 4 ქულა დააგროვა. ლონდონში ინგლისელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს — მოუგეს ფრანგებს — 5:2. ფინიშამდე დარჩა ორი მატჩი უნგრეთ-სსრ კავშირი და შვეცია-უნგრეთი.

მინსკი. გაიმართა მორიგი მატჩი კალათბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. ადგილობრივმა რტი-მ წააგო — კიევის „სტროიტელთან“ — 61:78 (33:43).





## — სალაღობოდ —

## ღიმილი სარკამარტო ნომრიდან

სტუმარმა ფოტოსურათების საოჯახო ალბომის დათვალიერება დაიწყო, მასპინძელი გვერდში მიუჯდა ახსნა-განმარტებისათვის:

ეს სამგზავრო გემის აფეთქებაა... მიწისძვრა იაპონიაში... გრიგალი ფლორიდაში... უზარმაზარი ხანძარი ჩიკაგოში... ეს კი ჩემი ქორწილია...

— აუხსენი, თუ ქალი ხარ, ბავშვს, რას ნიშნავს საპატარძლო.

— საპატარძლო არის ქალი, რომელსაც ჰპირდებიან ყველაფერ იმას, რასაც არ მიიღებს მაშინ, როდესაც გათხოვდება.

— ჩემს ცოლს არ უყვარს მრავალსიტყვაობა, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ თავის იმ ცოტა სიტყვებსაც ძალიან ხშირად იყენებს.

ახალგაზრდა კაცი ქუჩაში მიმავალ ხანში შესულ ქალს ეკითხება:

„ბებია, ხომ ვერ მეტყვით, მალე როგორ მოვხვდები საავადმყოფოში?

— აბა, ერთხელაც მითხარით „ბებია“ და უცბად იქ აღმოჩნდებით!

— მითხარი, ძვირფასო, როგორ მოხდა, რომ შენ შემიყვარე?

— აბა რა გითხრა, ხომ ხედავ, ახლა ეს შენც კი გაკვირვებს.

— ახლა ხომ არ ვგავარ ბებერ ქალს! — ჰკითხა საპარიკმახეროდან დაბრუნებულმა ცოლმა თავის მეუღლეს.

— ნამდვილად, ჩემო ძვირფასო, — წაიბურტყუნა ქმარმა, — შენ ახლა ბებერ მამაკაცს უფრო გავხარ!

ორი მეგობარი ქალი საუბრობს:

— ოხ, რომ იცოდე, ნამდვილად ბედი არა მაქვს, საკმარისია შევხვდე შესაფერის მამაკაცს, რომ მაშინვე აღმოჩნდება: ან ის არის ცოლიანი ან მე ვარ გათხოვილი.

## ღიმილი და ქალები

ბატონო ფსიქიატრო, ჩემი ქმარი შეიშალა! თუ შეიძლება სასწრაფოდ მოათავსეთ საგიჟეთში!

— რაშია საქმე?

— გუშინ, სრულიად უმიზეზოდ, შემოვარდა სამზარეულოში, ხის ჩაქუჩით დაბეგვა ბიფშტექსი და შემდეგ აკოცა მოსამსახურეს ლოყაზე.

— მე შეშლილის არავითარ ნიშნებს არ ვხედავ ამაში, — უპასუხა ფსიქიატრმა, აი მას ხის ჩაქუჩით რომ ებეგვა მოსამსახურე, ხოლო შემდეგ ბიფშტექსისათვის ეკოცნა, მაშინ აუცილებლად მოვკიდებდი ხელს.

პოლიციაში რეკავენ, მორიგე იღებს ყურმილს. ისმის მამაკაცის ხმა.

— გირეკავთ ქალთა მონასტრიდან, აქ ქურდი გადმოძვრა, სასწრაფოდ გვიშველეთ!

— ვინ ლაპარაკობს?

— ქურდი.

თუ მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩვენს მეზობლად მცხოვრები ცოლ-ქმარი დღეს ერთმანეთს არ უყვირიან?!

— ალბათ, ერთმანეთს დაემდურნენ.

ახალდაქორწინებულს ჰკითხეს:

— როდის გითავდებათ თაფლობის თვე?

— როცა ცოლს აღარ მივეხმარები ჭურჭლის რეცხვაში და ამ საქმეს დამოუკიდებლად გავაკეთებ.

— ამბობენ, ცოლ-ქმარმა წინასწარ ათამდე უნდა დათვალოს, ვიდრე ერთმანეთთან წაილაპარაკებს.

— სწორედ ეგრე ვიქცევით. ჩვენს მეზობლებს კი ჰგონიათ, რომ ბავშვებს არითმეტიკაში ვამეცადინებთ.

— თუ შეიძლება მაჩვენეთ ქალის სვიტერი.

— რა ზომა?

— მნიშვნელობა არა აქვს, სულ ერთია ცოლი მაინც მოვა გამოსაცვლელად.

## საჩუქარი





მ. აბაშიძის ნახატები.

## ანდაზა-ნაკვესები

● უდედოდ დარჩენილ სკასა და ოჯახს ნექტარ-სიტკბოს ნულარ მოჰკითხავო.

● ომმა გაიკვირვა — რა ყოფილა ეს დედა; კაცი ვერ მოვკალ რომ „ვაიმე მამა“ დაეძახოსო.

● ქვეყანამ ინატრა — ნეტავ როგორც უდედმამო შვილი არ არსებობს, ისე უშვილო დედმამაც არ არსებობდესო.

● ულელმა უსურვა მეუღლეებს — მე ვისპობი და თქვენ მაინც იდღეგრძელეთო.

● ოჯახთა გამრავლება ამაოა, თუ ოჯახში გამრავლება არ იქნაო.

● პატარძალი ქმარს გულით ეფერებოდა, საქმეზე კი გული ეფერებოდაო.

● ქალებს დღესასწაული მარტმაც მიულოცა და თან დასძინა — ღმერთმა გაშოროთ ჩემნაირი ჭინჭულობაო.

● საპატარძლოს მზითვის სია: ოთხი შარვალი, სამი წყვილი წუღა, ორი ყანწი და ნახევარი კაბა.

● მექრთამე რვა მარტს ცოლს ულოცავდა ხოლმე: სულით, გულით და ფულით; წელს კი მხოლოდ მესამე დააკლოო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.



უტექსტოდ.

ვ. კუციას ნახატი.





— ა. ბატონო, ქალები ჯერ გაგვიტოლდნენ და ახლა კი მთლად თავს წაგვიდნენ.

## ტელევიზია

### 8 მარტი

#### პირველი პროგრამით

10.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — სატელევიზიო ფილმი, 10.40 — „საში ხოველა ქალებზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.10 — „თქვენთვის, ქალებო!“ კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — მხატვრული ფილმი „სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი“, 13.45 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 14.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქართული ქორწილი“, 14.45 — „თქვენი თხოვნით, პატარებო“, 15.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 16.35 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, 17.00 — „მოსკოვის საზღვარგარეთელი სტუმრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.20 — „აბა, თქვენ იცით, გოგონებო!“ — ფინალური გადაცემა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „დედა — შთაგონების წყარო“, 19.35 — სახელოვანი სპორტსმენი ქალება, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 21.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო ფილმი — „გაზაფხულის საღამო“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია: „13 სკამი“ — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 კალათბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. ნახევარფინალი — ცსკა-„ცრვენა ზვეზდა“ ბელგრადი (გადმოცემა მოსკოვიდან).

#### მეორე პროგრამით

17.15 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მასალათა გამძლეობაში, 18.15 — პოლიტიკურ ეკონომიაში, 19.15 — მხაზველობით გეომეტრიაში, 20.15 — მხატვრული ფილმი — „ადამიანი დაიბადა“.

### 9 მარტი

#### პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინოპროგრამა, 11.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „სასწაულების ორი დღე“, 16.35 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — მათემატიკაში, 17.20 — ფიზიკაში; 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის — „კომპოზიტორები — ბავშვებს“, 18.50 — რეკლამა, 19.00 — კინონარკვევი, 19.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მუსიკალური პროგრამა, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 20.50 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი: „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ (მერვე სერია, ქართულ ენაზე), 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი“, 22.50 — „ტელეტურნირი“.

#### მეორე პროგრამით

17.15 — სკოლების დასახმარებლად — ბიოლოგია. (მერვეკლასელთათვის: „საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციები“), 18.00 — მათემატიკა (მეცხრე, მეათეკლასელთათვის. „მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის რაციონალური ხერხები“), 18.45 — განცხადებები, 18.50 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 19.50 — თეორიულ მექანიკაში, 20.50 — მხატვრული ფილმი — „საეჭვო ნიშანი“.

### 10 მარტი

#### პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. „ტანვარჯიში ყველასათვის“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის — „ნორჩთა შემოქმედება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „ტაჯიკეთის სსრ“, 12.00 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია ზოგად ფიზიკაში, 13.00 — კინონარკვევი, 13.30 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 15.00 სატელევიზიო ფილმი, 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — ქართული სატელევიზიო ფილმი „ექიმი მიდის ფეხბურთზე“, 17.10 — ახალი ამბები, 17.15 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — კინოპროგრამა, 18.05 — „გულგრილობა და უკონტროლობა — დროა ბოლო მოვუღოთ მათ“, 19.00 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია (მეცხრე სერია, ქართულ ენაზე), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — „დიდი ლიტერატურა მცირეწლოვანთათვის“, 21.10 — სატელევიზიო დადგმა „მე შენ მიყვარხარ“ (პირველი ნაწილი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეო ჩანაწერი), 22.30 — საბჭოთა ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალი. საესტრადო სიმღერების კონკურსი „ახალგაზრდული ხმები“.

#### მეორე პროგრამით

19.05 — სკოლების დასახმარებლად: ფიზიკა (სინათლის ბუნება და ფოტოეფექტი), 19.45 — კონცერტი, 20.30 — მხატვრული ფილმი „სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორი“.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

### 8 მარტი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზის დაბნელება საქართველოში (დღისით), ქორწილი (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შვიდნი ძმანი გურჯანელნი (დღისით), ცოლები და ქმრები (საღამოს).

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 10 მარტს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02575 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.